# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 12 ივნისი 2002 №106 (1628) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

# ჩემპიონი გაპარსეს

## საფრანგეთისგან სენეგალიდა დარჩა

აჰა, მოლოდინი იმისა, რაც ეჭვად გვქონდა, მაგრამ ძნელად დასაჯერებელი იყო, ასრულდა — დღეიდან მსოფლიოს ჩემპიონატი მსოფლიოს ჩემპიონის გარეშე გაგრძელდება. საფრანგეთმა ისევე უსახელოდ დატოვა მუნდიალი, როგორც საუდის არაბეთმა, ვერც ერთმა და ვერც მეორემ ერთი გოლის გატანაც ვერ მოახერხა. ამაო გამოდგა ფრანგთა იმედი ზიდანის დაბრუნებით გუნდის ფერფლიდან აღდგენის თაობაზე.

მუნდიალი კი გრძელდება, გუშინ ოთხმა გუნდმა — დანიამ, სენეგალმა, გერმანიამ და ირლანდიამ — სამერვედფინალო გზა გაიკაფა. იოლი გზა არ ყოფილა. ურუგვაიმ ლამის სასწაული ჩაიდინა და საარაკო ამბამდე იოტისოდენა დააკლდა. მსაჯსაც ხელი დაელალა ჯიბეში ჩაყოფით, თორმეტჯერ მოუხდა სენეგალელი და ურუგვაელი ფეხბურთელების გაფრთხილება. თუმცა ეს რაა გერმანია — კამერუნის მატჩთან შედარებით, იქ მსაჯმა თექვსმეტი ყვითელი და ორიც წითელი ბარათი ჩამოარიგა.

დღეს კიდევ ორ ჯგუფში დალაგდება ყველაფერი და ოთხი მერვედფინალური წყვილიც გვეცოდინება.

ისე, ფრანგები ბოლომდე არც გამოთხოვებიან ჩემპიონატს — სენეგალი ხომ, ფაქტობრივად, საფრანგეთის კლუბთა ნაკრებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეა-იაპონია 2002
## A ჯგუფი. III ტური

# №33 დანია 2:0 საფრანგეთი

11 ივნისი, ინჩეონი (კორეა). 11.30 „მუნჰაკ სტადიუმ". 48 100 მაყურებელი

1:0 რომედალი (22), 2:0 ტომასონი (67)

1 სორენსენი

მწვრთნელი: მორტენ ოლსენი

4 ლაურსენი — 3 ჰენრიკსენი

6 ჰელვეგი — 12 ნ. იენსენი

2 ტოფტინგი — 7 გრავესენი

19 რომედალი — 10 იორგენსენი

9 ტომასონი — 17 პოულსენი

20 ტრეზეგე

21 დიუგარი — 10 ზიდანი — 11 ვილტორდი

7 მაკელელე — 4 ვიეირა

3 ლიზარაზუ — 8 დესაი — 15 ტურამი — 2 კანდელა

მწვრთნელი: როჟე ლემერი

16 ბარტეზი

შეცვლა: იორგენსენი – 8. გრონკიაერი (46), დიუგარი – 9. ჯ. სისე (54), ვიეირა – 22. მიკუ (70), პოულსენი – 20. ბოგელუნდი (75), ტოფტინგი – 23. სტენ-ნილსენი (79), ვილტორდი – 6. ჯორკაეფი (83)

გაფრთხილება: დიუგარი (8), პოულსენი (27), იენსენი (70)

მსაჯები: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია); კარლუშ მატუში (პორტუგალია), ელისე დორირი (ვანუატუ)

| | | |
|---|---|---|
| 19 | ჯარიმა | 14 |
| 0 | კუთხური | 6 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 11 |
| 2 | კარში დარტყმა | 8 |
| 2 | თამაშგარე | 3 |



ზინედინ ზიდანი საფრანგეთივით წაიქცა

# დიდი გაცილება ანუ წესი წესია

ბაჩუნა კუდია

**ამას** ეპოქის დასასრული ეწოდება, სხვა არაფერი. საფრანგეთის ნაკრებმა, ყოველ შემთხვევაში მისმა 1998-2000 წლების მოდელმა, მსოფლიო ფეხბურთს დიადი სამუზეუმო შემატა, ისტორიის ტილოს მეტისმეტად ნათელი ფერი შეუზავა და მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე დაგვემშვიდობა — ინჩეონში, თაკარა მზის გულზე, ამის იურიდიული გაფორმება და გაცილება მოეწყო. ეს იყო და ეს.

წერილში, რომელიც დანიისა და საფრანგეთის გუნდების თამაშს ეძღვნება, შეხვედრის ნიუანსებზე არ დავწვრილმანდებით. ისედაც ყველაფერი ნათლად ჩანდა — თანამედროვე ფეხბურთში სეირნობით არავის არაფერი მოუგია და რაღა ფრანგებს უნდა მოეგოთ, თან დანიისთვის და თან ორბურთიანი სხვაობით. ბოლოს, ფრანგთა სეირნობით მოგებული 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გვახსოვს, იტალიას რომ სძლია და ეს თექვსმეტი წლის წინ იყო.

სანამ ინჩეონს დავუბრუნდებოდეთ, შევეცადოთ ჩვენი წერილის პირველი წინადადება დავასაბუთოთ. მართლაც, მართალია პარიზში, იქაური ფეხბურთის ფედერაციის შენობაში, მით უფრო როჟე ლემერის კაბინეტში არც თქვენ მჯდარხართ და არც ჩვენ, მაგრამ რაც ნანახი და წაკითხული გვაქვს, იქიდან გავიხსენოთ: როდის დაეშვა საფრანგეთის ნაკრები ზეციდან იმ სიმაღლეზე, რომელზეც კორეაში ვიხილეთ? თუ არ ვცდებით, ამ გაზაფხულზე და ისიც ერთბაშად. ახლა ასე ვთქვათ, ლოგიკის თანახმად, როდის უნდა დამძიმებულიყვნენ ევროპის წამყვან კლუბებში მთელი სეზონის განმავლობაში მფრინავი დავიდ ტრეზეგე, ბიქსენტ ლიზარაზუ და ძმანი მათნი? ბუნებრივია, სეზონის ბოლოს ანუ ისევ და ისევ ამ გაზაფხულზე, ზაფხულის პირას. შემდეგ, რის იმედად იყო მათი მწვრთნელი, როჟე ლემერი, როდესაც გუნდის ნახაზს, თუ გნებავთ სტრატეგიას არ ცვლიდა? ფეხბურთელების ოსტატობის — სხვა მოსაზრება გამორიცხულია. და ოსტატობას როდის ავლენენ ფეხბურთელები? როცა კარგ ფორმაში, როცა დასვენებულები არიან. განვაგრძოთ: როდის დაშავდა მსოფლიოს ერთ-ერთი უბრწყინვალესი ფეხბურთელი ზინედინ ზიდანი, რომელსაც, რაგინდ ცუდ ფორმაში იყოს, ყოველთვის აქვს შემონახული თუნდაც ერთი ილეთი, ერთი დარტყმა ან პასი მატჩის ბედის გადასაწყვეტად? ზედ ჩემპიონატის წინ, როდესაც უმძიმესი სეზონის შემდეგ, როგორც ჩანს, კუნთი უკვე გაწყვეტაზე ჰქონდა. მაშ, რატომ უნდა გაემარჯვა საფრანგეთის ნაკრებს? განა ეს ყველაფერი ფსიქოლოგიურ ფაქტორებთან ერთად ეპოქის დასასრულის წინაპირობა არ უნდა ყოფილიყო?

იყო კიდეც! და ის, რომ ექს-ჩემპიონებმა სამ თამაშში ხუთჯერ მოარტყეს ძელს ბურთი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მათი ეპოქა მთავრდებოდა. ვისი ეპოქაც იწყება, იმათი დარტყმულები კარში გადის.

ხოლო დანიას ქების მეტი არაფერი დაუმსახურებია. საფრანგეთთანაც სწორად მოიქცა: გაფრთხილდა, ბურთის თამაშით მაინც და მაინც თავი არ მოუკლავს, ყურადღებით აკონტროლა მეტოქე და ორი საჭირო გოლი გაიტანა.

და გახსოვთ „წესი", რომელიც ამ შეხვედრის ანონსში ვახსენეთ? ბოლო ოთხ შეხვედრაში ამ მეტოქეებს შორის გამარჯვებული შემდეგ ჩემპიონი ხდებოდა. ჰოდა, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი. წესი წესია.

ახლა კი ზიდანის თემას დავუბრუნდეთ. მაშ ასე, ზიდანმა პირველ ორ შეხვედრაში ვერ ითამაშა და თანაგუნდელებს, ქურდად კი ბიქსენტ ლიზარაზუს ათქმევინა, ეგ მოედანზე გამოვიდეს და თუ ფეხი სტკივა და სირბილი არ შეუძლია, მის ნაცვლად ჩვენ ვირბენთო. ჰაი, ჰაი, რომ ვერ ირბინეს და ისევ დასუსტებულმა ზიდანმა აჯობა ყველას, მოძრაობაშიც, პასშიც და თამაშის გაწევაშიც.

„ზიდანი მოედანს ჩვენს წინააღმდეგ უბრუნდება, მაგრამ იქნება კი ის ზიდანი?" — კითხულობდა მატჩის წინა დღეს დანიელების თავკაცი მორტენ ოლსენი. როგორც ვნახეთ, ზიდანი ყველა შემთხვევაში ზიდანი ყოფილა, ოღონდ საფრანგეთის ნაკრების საუბედუროდ, ფეხბურთი გუნდური თამაშია, სადაც ერთი თერთმეტს, თუნდაც ის ერთი ზიდანი იყოს, ვერაფრით მოერევა.

მოკლედ, დანიის სიმპათიურმა ნაკრებმა საფრანგეთს ზუსტი, აზრიანი, მშრალი თამაშით აჯობა და, შეიძლება ითქვას, ჯგუფურ ეტაპზე ყველაფერი გვანახა: კომბინაციური, სწრაფი ფეხბურთი, ტექნიკა, მკაცრი, დაზღვევებით გამაგრებული დაცვა, ჩინებული ბომბარდირი იონ დალ ტომასონი და... კაცმა რომ თქვას, მათთვის სენეგალელთა კარში გატანილი გოლი რომ ჩაეთვალათ, შესაძლოა, ფრანგებთან საქმე სანერვიულოდ არც გახდომოდათ. თუმცა, არც უნერვიულიათ.

## მატჩის შემდეგ

### მორტენ ოლსენი
*დანიის ნაკრების მწვრთნელი*

ძალიან რთული ჯგუფი იყო. ეს პირველივე ტურის შემდეგ გამოჩნდა, როცა საფრანგეთმა წააგო და ყველამ დაინახა სენეგალისა და ურუგვაის ნაკრებების სიძლიერე. დღეს ჩემი გუნდის თამაში მომეწონა. ბიჭებს თავდაჯერებულობა და დისციპლინა არ აკლდათ. რა თქმა უნდა, დაცვას მეტ ყურადღებას ვაქცევდით. სხვანაირად საფრანგეთის ნაკრების დამარცხება წარმოუდგენელია. დღეს ჩემი ბიჭები ქების მეტს არაფერს იმსახურებენ.

### როჟე ლემერი
*საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი*

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე არაერთი პრობლემა და თავსატეხი გაგვიჩნდა. უმთავრესი საფიქრალი ტრავმები იყო. ვფიქრობ, ახლა დეპრესიაში არ უნდა ჩავვარდეთ, საფრანგეთს ისეთი ბრწყინვალე თაობა ეზრდება, რომ მჯერა, ის ბიჭები თავიანთ სიტყვას კიდევ იტყვიან. ისე სიმართლე უნდა ითქვას, ჩვენი ნაკრები ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე საკუთარ თავს არ ჰგავდა, ასეთი თამაშით მერვედფინალში გასვლას არ ვიმსახურებდით. მარცხსაც ისე უნდა შევეგუოთ, როგორც გამარჯვებას. ცხელ გულზე ანალიზის დრო არ არის.

### ზინედინ ზიდანი

გაოცებული დავრჩი. ვერც კი ვიფიქრებდი, რომ პირველივე ეტაპიდან გამოვვარდებოდით, ახლა უნდა ვეცადოთ, წარუმატებლობის მიზეზს ჩავწვდეთ და მათი გამოსწორებისთვის ვიმუშაოთ. რაიმე სხვა კომენტარისგან თავს შევიკავებ. ეს ძალიან ნაადრევი და ცხელ გულზე ნათქვამი იქნება.

## სტენოგრამა

**მე-2 წუთი:** პატრიკ ვიეირას თომას სორენსენმა აუღო.

**მე-11 წუთი:** ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ დენის რომედალს დარტყმა არ გამოუვიდა.

**მე-17 წუთი:** სილვენ ვილტორდმა დავიდ ტრეზეგეს გადააწოდა, რომლის დარტყმულსაც მეკარე გაუმკლავდა.

**მე-20 წუთი:** სილვენ ვილტორდის ჩაწოდებულს ზინედინ ზიდანის უშედეგო თავური მოჰყვა.

**21-ე წუთი:** პატრიკ ვიეირამ კარგი პასი მისცა ზინედინ ზიდანს, მაგრამ მან ბურთი ვერ დაიმორჩილა და სახიფათო მომენტიც განიმუხტა.

**22-ე წუთი:** სტიგ ტოფტინგმა დენის რომედალს ჩააწოდა, რომელმაც ბურთი ჭვინტით შორეულ კუთხეში გაიტანა.

**30-ე წუთი:** დავიდ ტრეზეგეს თავური მეკარემ ნახტომში მოიგერია.

**38-ე წუთი:** ზინედინ ზიდანის დარტყმულმა ძელს ჩაუქროლა.

**41-ე წუთი:** ზინედინ ზიდანი მეკარეს თავზე უგდებდა ბურთს, მაგრამ თომას სორენსენმა იმარჯვა.

**43-ე წუთი:** სილვენ ვილტორდს თომას სორენსენმა არ გაატანინა.

**50-ე წუთი:** ზინედინ ზიდანის კუთხურს მარსელ დესაის სახიფათო თავური მოჰყვა. ბურთი ხარიხას მოხვდა.

**58-ე წუთი:** დავიდ ტრეზეგემ ზინედინ ზიდანს დაუგორა, მის დარტყმულს კი მცველი გადაეფარა.

**61-ე წუთი:** იესპერ გრონკიაერმა არაზუსტად დაარტყა.

**67-ე წუთი:** იესპერ გრონკიაერის სახიფათო შეტევა იონ დალ ტომასონმა შედეგიანი დარტყმით დაასრულა — 2:0.

**73-ე წუთი:** ჯიბრილ სისეს გასროლილი მეკარემ გაჭირვებით მოიგერია.

**74-ე წუთი:** დავიდ ტრეზეგემ ხარიხას გაარტყა.

**77-ე წუთი:** ზინედინ ზიდანის საჯარიმო დარტყმა კარს ასცდა.



დანიელთა პირველი გოლი: ფაბიენ ბარტეზი მუნდიალს ეფექტური ნახტომით დაემშვიდობა

# ᲙᲝᲠᲔᲐ-ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ 2002
## A ᲯᲒᲣᲤᲘ. III ᲢᲣᲠᲘ

# №34 ᲡᲔᲜᲔᲒᲐᲚᲘ 3:3 ᲣᲠᲣᲒᲕᲐᲘ

11 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲡᲔᲣᲚᲘ (ᲙᲝᲠᲔᲐ). 11.30 „ᲡᲔᲣᲚ ᲕᲝᲠᲚᲓ ᲙᲐᲤ ᲡᲢᲔᲓᲘᲣᲛ". 33 681 ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ

1:0 ფადიგა (20პ), 2:0, 3:0 პ. ბ. დიოპი (26, 38), 3:1 მორალესი (46), 3:2 ფორლანი (69), 3:3 რეკობა (88პ)




შეცვლა: სორონდო – 17. რეგუერო (31), რომერო – 21. ფორლანი (46), აბრეუ – 18. რიჩარდ მორალესი (46), კოლი – 21. ბეიე (63), კამარა – 14. მუსა ნდიაიე (67), ნდური – 12. ფეიე (76)

გაფრთხილება: კამარა (2), დაფი (4), რომერო (8), კარინი (19), გარსია (35), კოლი (39), როდრიგესი (40), პ. ბ. დიოპი (70), დიუფი (82), მონტერო (82), ფადიგა (87), ბეიე (88)

მსაჯები: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია); იაპ პოოლი (ჰოლანდია), ფერენც შეკელი (უნგრეთი)

| | | |
|---|---|---|
| 23 | ჯარიმა | 19 |
| 4 | კუთხური | 7 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 14 |
| 4 | კარში დარტყმა | 6 |
| 5 | თამაშგარე | 4 |




რიჩარდ მორალესის გოლმა ურუგვაის იმედი გაუხანგრძლივა

REUTERS ხელშეკრულება

# ახალი ანეკდოტი: სენეგალიც აფრიკაა

**გიორგი დარჯანია**

**სტალონეს** „როკი I", II, III და ა.შ. ხომ გინახავთ (სურვილისამებრ სხვა მსგავსი შინაარსის ჰოლივუდური ფილმები შეგიძლიათ გაიხსენოთ), სადაც სტალონეს (როკის) თავიდან უმოწყალოდ სცემენ და როცა ნოკაუტს თითქოს აღარაფერი უკლია, სტალონე (როკი) უკანასკნელ ძალას მოიკრებს და წინა რაუნდებში დამჩაგრავს მიასიკვდილებს. ეს მატჩიც დაახლოებით მსგავსი სცენარით წარიმართა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მსაჯის სასტვენმა (რეფერის გონგმა) ურუგვაელებს სენეგალელთა დანოკაუტება არ დააცალა — მართლაც ხომ არ შეიძლება, მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩი ჰოლივუდური ჰეფი ენდით მთავრდებოდეს.

თამაში იმ გუნდის იერიშით დაიწყო, რომელსაც მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს ანუ ურუგვაის, რაკიღა, სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე, სენეგალელებს ფრეც ჰყოფნიდათ. აფრიკელთა მეკარე ტონი სილვას საჯარიმოს გარეთ თავითაც მოუხდა თამაში — დარიო სილვაზე მაღლა ახტა, მეორე ეპიზოდში კი ურუგვაელ სილვას მცველთა შეცდომის შემდეგ მართებდა გატანა.

მაგრამ ეს პირველ წუთებში იყო, მეათე წუთიდან თამაში ნელ-ნელა გათანაბრდა და მალე გოლიც გავიდა. უგამოცდილესმა პაოლო მონტერომ სრულიად უმტკივნეულო ეპიზოდში ბურთი ელ-ჰაჯი დიუფს გადააბარა და საჯარიმოში შეჭრილი აფრიკელი მეკარის პირისპირ აღმოჩნდა. აქ კი, აი, რა მოხდა: დიუფი კარინის გასცდა და... წაიქცა. არადა, მეკარე თავდამსხმელს აშკარად არ შეხებია და ასევე აშკარაა, რომ დიუფს წაქცევა არ სჭირდებოდა — ისედაც უპრობლემოდ შეეძლო გატანა, მაგრამ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ალბათ, ეგრე დაემართა. ასეა თუ ისე, მსაჯმა საპენალტედ განსაჯა და ხალილუ ფადიგამ ანგარიში გახსნა.

აქვე ურუგვაელებმა კვლავ სცადეს გაბრძოლება, რაც ალვარო რეკობას მეტად სახიფათო საჯარიმო დარტყმაში აისახა, მაგრამ ტონი სილვა ბურთს ადგილზე დახვდა. აქ უპრიანია, ამ მეკარეზე ორიოდე სიტყვა ჩავურთოთ.

მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე, იანვარ-თებერვალში გამართული აფრიკის თასის საუკეთესო გოლკიპერადაც აღიარეს. საინტერესო რამ მოხდა — კამერუნელ ბუკარ ალიუმის კონტინენტის პირველობაზე გოლი არ გაუშვია, საუკეთესო კი მაინც სილვა გახდა და კიდევ უფრო საინტერესო ის გახლავთ, რომ სენეგალელი მეკარე კლუბში სათადარიგოთა სკამიდან ფაქტობრივად არ დგება — „მონაკოში" პირველი მეკარე სტეფან პორატოა, ვინაც ფრანგებს მსოფლიოს ჩემპიონატზე საერთოდ არ წაუყვანიათ.

ისევ გოლი: ანრი კამარას წამოწყებული იერიში პაპე ბუბა დიოპმა შორეული ულამაზესი გოლით დაასრულა. ამ გოლმა ურუგვაელები გატეხა და მგლების ალყაში მოქცეულ ცხვრის ფარას დაამსგავსა, ჰოდა, რა გასაკვირია, სენეგალელთა მიძალებას ანგარიშის გასამება რომ მოჰყვა — იმავ პაპე ბუბა დიოპმა დიაგონალური პასით მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო და ხარიხაზე ასხლეტით კარის ხაზს მიღმა ჩაუშვა. მსაჯის ხსენება კი აქაც გვჭირდება — დიოპი ოდნავ წინ იდგა ურუგვაელ მცველებზე და არბიტრს, უფრო სწორად თანამსაჯს ეს გამოეპარა.

და მაინც — ორი საეჭვო გოლის მიუხედავად, აფრიკელთა უპირატესობა თვალში საცემი და სამართლიანი იყო.

ტაიმის მიწურულს და შესვენებისას კი სენეგალელთა „ფრანგულ" გუნდში აფრიკელობამ მაინც იჩინა თავი — ელ-ჰაჯი დიუფმა მასხარაობა დაიწყო, მაინცდამაინც ბურთიანად მოინდომა კარში შესვლა და იმდენი ქნა, ბურთი დაკარგა, არადა, თანაგუნდელისთვის საგოლე პასი შეეძლო მიეცა. ხოლო შესვენებისას გასახდელიდან გამომავალი სენეგალელები ისე იკრიჭებოდნენ, მგონი, მთელი ათი-თხუთმეტი წუთი ანეკდოტების მოყოლის გარდა არაფერი უკეთებიათ. ამ დროს კი ურუგვაელთა გასახდელში...

არა, ჩვენ არ ვიცით, რა უთხრა ვიქტორ პუამ შეგირდებს, თუმცა რაც მეორე ტაიმში ვნახეთ, იმის გათვალისწინებით, იოლი მისახვედრია.

თამაში განახლდა და სამხრეთამერიკელებმა უმალ გოლი შეაგდეს — შეცვლაზე შესულმა დიეგო ფორლანმა დარიო სილვას ჩააწოდა, ამისი ახლოდან დარტყმული მეკარეს მოხვდა, დასწრებაზე კი რიჩარდ მორალესმა იხეირა.

დიეგო ფორლანმა მეორე თავად გაიტანა — რეკობასგან ჩინებული პასი მიიღო და შორიდან მარჯვენა ცხრიანში ჩააჭედა. აქ მხოლოდ გაოცება შეიძლება გამოვხატოთ, ბოლო წუთამდე, სანამ თითქმის ყველაფერი არ დაიკარგებოდა, პუა მანჩესტერელს რატომ არ ენდო.

ურუგვაელთა გოლებს შორის მორალესს და დარიო სილვას გაუცუდდათ საუკეთესო მომენტები, რომლებიც რეკობას გონივრული თამაშის წყალობით მიეცათ, ჩვენ კი მათი მწვრთნელის მატჩის წინ ნათქვამი სიტყვები გვახსენდება: არ ვიცი, თავდამსხმელებს რა მოვუხერხო, რეკობას იდეალურ პასებს ვერ იყენებენო.

თუკი პირველმა საპასუხო გოლმა სენეგალელებს ხასიათი ვერ გაუფუჭა, ფორლანის გოლმა გვარიანად შეაშფოთა და უკვე აშკარა შეიქნა — ურუგვაი მეტოქეს გადაუვლიდა... თუ, რა თქმა უნდა, დრო ეყოფოდა. ალვარო რეკობამ ზედიზედ ორჯერ უაღრესად სახიფათოდ დაარტყა, აფრიკელებს კი კონტრშეტევებიც აღარ გამოსდიოდათ, არადა, შეტევაში გადართული ურუგვაელების გამოჭერა შეიძლებოდა. მატჩის ბოლომდე აფრიკელებს ფაქტობრივად ერთადერთი მომენტიღა ჰქონდათ, როცა მეკარე სილვამ უგრძესი პასით დიუფი გაიყვანა კარინის პირისპირ და ურუგვაელმა მეკარემ ბურთი ფეხით მოიგერია.

სენეგალის ნაკრები საბოლოოდ დაიშალა, ფორლანი და მორალესი ზედიზედ გავიდნენ ტონი სილვასთან პირისპირ, მცველები კი ოდენ უმისამართოდ იგერიებდნენ ბურთს.

ისე, ერთ ეპიზოდში მსაჯს პაოლო მონტეროს გაძევებაც მართებდა, დიუფზე უკანასკნელი იმედის ჯარიმისთვის, მაგრამ გაფრთხილება აკმარა.

88-ე წუთზე კი სენეგალელთა საჯარიმოში მორალესი წაიქცა. ისეთივე პენალტი იყო, როგორც პირველ ტაიმში დიუფის წაქცევისას და არბიტრმა სამხრეთამერიკელებს ვალი დაუბრუნა. რეკობამ ანგარიში გაათანაბრა.

იქვე კინაღამ ჩხუბიც ატყდა — მომდევნო შეტევისას სენეგალელთა კარისკენ სახიფათო საჯარიმო დაინიშნა და პაბლო გარსიამ რეკობას ხელი ჰკრა, მე დავარტყამო. ცოცხალ კედელს გაარტყა და რეკობასგან მრავალსართულიანი გინებაც მიიღო.

სენეგალელებმა უნდა თქვან, ბედი გვაქვსო — წამატებულ დროში მორალესმა მეკარის ბაქნიდან ცარიელ კარში ვერ გაიტანა, თორემ ვნახავდით, მერვედფინალში ვინც იქნებოდა.

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| სენეგალი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| ურუგვაი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:3 | 1 |

## მატჩის შემდეგ

**ბრუნო მეტსუ**
**სენეგალის ნაკრების მწვრთნელი**

პირველი ტაიმი ბრწყინვალედ ჩავატარეთ და შესვენებაზე კმაყოფილები გავედით. მეორე ნახევარი ისე ძლიერი არ გამოგვივიდა და გვარიანად ვინერვიულე, თუმცა, საბედნიეროდ, ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ დასრულდა. გახარებული ვარ, რადგან სენეგალის ნაკრები მსოფლიოს უძლიერეს 16 გუნდს შორის მოხვდა და ახლა ვაპირებთ, აფრიკულ ფეხბურთზე „დიდი ზღაპარი" შევქმნათ.

**ვიქტორ პუა**
**ურუგვაის ნაკრების მწვრთნელი**

ნაწილობრივ მსაჯობის მსხვერპლი გავხდით, თუმცა ტურნირში ჩვენც არცთუ ძლიერ თამაშს, ცხადია, მარტო არბიტრებს ვერ გადავაბრალებთ. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ჯგუფში სამ ძალიან ძლიერ მეტოქესთან მოგვიწია თამაში.

## სტენოგრამა

**მე-7 წუთი:** დარიო სილვამ საჯარიმოში ბურთი მიიღო და შვიდი მეტრიდან უძლიერესად დაარტყა, მაგრამ ააცილა.

**მე-20 წუთი:** ფაბიან კარინი მსაჯმა ელ-ჰაჯი დიუფის წინააღმდეგ უხეშობაში დაადანაშაულა და არარსებული პენალტი დანიშნა. ხალილუ ფადიგამ შანსი გამოიყენა.

**22-ე წუთი:** ალვარო რეკობას ტონი სილვამ აუღო.

**26-ე წუთი:** ანრი კამარამ მთელი მოედანი გადაჭრა, საჯარიმოში შევიდა და პაპე ბუბა დიოპს დაუგორა, რომელმაც აუღებელი დაურტყა ურუგვაელთა მეკარეს.

**38-ე წუთი:** ელ-ჰაჯი დიუფის ჩაწოდებულს პაპე ბუბა დიოპმა დაჰკრა. ბურთი ხარიხას მოხვდა და ფაბიან კარინის ზურგსუკან ჩაეშვა — 3:0.

**46-ე წუთი:** დარიო სილვას დარტყმული ტონი სილვამ მოიგერია, დამატებაზე კი ყველას რიჩარდ მორალესმა დაასწრო და გოლი გაიტანა.

**48-ე წუთი:** პაპე ბუბა დიოპის სახიფათო დარტყმა მეკარემ გაჭირვებით გააუვნებლა.

**53-ე წუთი:** ხალილუ ფადიგას ჩაწოდებულს ელ-ჰაჯი დიუფმა თავი დაუხვედრა. ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

**56-ე წუთი:** ალვარო რეკობამ არაზუსტად დაარტყა.

**61-ე წუთი:** დარიო სილვა მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ კარში ზუსტად ვერ დაარტყა.

**69-ე წუთი:** დიეგო ფორლანმა საჯარიმოს გარედან ულამაზესი დარტყმით გაიტანა.

**88-ე წუთი:** რიჩარდ მორალესი საჯარიმოში წაიქცა. პენალტი ალვარო რეკობამ უნაკლოდ შეასრულა.

**90-ე წუთი:** სენეგალელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით რიჩარდ მორალესმა ისარგებლა, მაგრამ თავით ახლოდან ცარიელ კარს ააცილა.



REUTERS ხელშეკრულება

დიეგო ფორლანი მწვრთნელს ძალიან გვიან გაახსენდა



REUTERS

მიროსლავ კლოზემ, ცხადია, თავით გაიტანა

# ფიოლერი მცოცავია თუ მხტომელი?

## კარგი შუბლის სიკეთე

### კორეა-იაპონია 2002
### E ჯგუფი. III ტური

### №35 კამერუნი 0:2 გერმანია

11 ივნისი. შიზუოკა (იაპონია). 16.30 „შიზუოკა სტადიუმ". 47 085 მაყურებელი

0:1 ბოდე (50), 0:2 კლოზე (79)




შეცვლა: იანკერი – 17. ბოდე (46), ჩატო – 18. სუფო (53), ოლემბე – 23. ნგომ კომე (64), შნაიდერი – 16. იერემისი (80), მბომა – 21. ჯობი (82), კლოზე – 7. ნოივილი (84)

გაფრთხილება: ფოე (8), იანკერი (9), ჰამანი (29), ბალაკი (31), რამელო (37), რამელო (40), კანი (42), სონგი (42), ჩატო (44), ჯერემი (56), ოლემბე (58), სუფო (60), ციგე (72), ფრინგსი (74), სუფო (77), ლორენი (81)

გაძევება: რამელო (40), სუფო (77)

მსაჯები: ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი); მოჰამედ საიედი (მალდივეთი), ჟორჟე ოლივეირა (ბრაზილია)

| | | |
|---|---|---|
| 22 | ჯარიმა | 31 |
| 4 | კუთხური | 5 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 11 |
| 4 | კარში დარტყმა | 5 |
| 4 | თამაშგარე | 0 |

**დავით თავართქილაძე**

**ბევრი** ნაკლი აქვს რუდი ფიოლერის გუნდს, მაგრამ შედეგი მშვენიერი — ჯგუფში პირველი ადგილი და გატანილ-გაშვებულთა ათბურთიანი სხვაობით.

ფიოლერი ნერვებსაც კარგად უშლის ხოლმე თავისი გუნდის ქომაგთ — კარსტენ იანკერი კვლავ სასტარტო შემადგენლობის კაცი იყო, კვლავ ზანტად დააბოტებდა და კვლავ უნაყოფოდ ირჯებოდა, თუ ამას გარჯა ჰქვია.

ფიოლერმა ისევ მარკო ბოდეს უხმო შემცვლელად, თუმც ამჯერად დიდოსტატური სვლა გამოუვიდა. ბრემენელი ბოდე 23 ივლისს 33 წლის მოიყრება, მაგრამ ის ხომ უნივერსალური ტიპის ფეხბურთელია და კაცნაკლული გუნდისთვის მართლაც ზედგამოჭრილი გამოდგა.

ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო კი მატჩის ესპანელი არბიტრი გახლდათ, ჯიბეზე ხელის გაკვრა და წითელ-ყვითელი ფერები რომ ჰყვარებია.

და რაც მთავარია, გერმანიამ თავისი, ძველი მოტივი ააჟღერა — რთული ვითარებიდან გამოძვრა, კაცნაკლულმა გაუტანა ბურთი მეტოქეს, რომელსაც მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს.

აბა, მიროსლავ კლოზეს ქება უნდა დავამადლოთ?! მისი უზადო საგოლე პასი ერთ რამედ ღირდა, ხოლო საგოლე თავური, ალბათ, უკვე ჩვეულებრივი იყო, ყველა რომ შეგვაჩვია, ისეთი. ჩემპიონატის მთავარმეგოლემ ხუთივე ბურთი შუბლით შეაგდო.

პირველი სახიფათო მომენტი გერმანელებმა შექმნეს — კლოზეს გამჭოლ გადაცემას ბალაკმა კი მიუსწრო, მაგრამ ოდნავ მახვილი კუთხიდან ვარდნაში არაზუსტად დაარტყა.

პასუხი კი გაცილებით შთამბეჭდავი გამოდგა — თომას ლინკე უკან ჩარჩა და სიჩქარეაკრეფილი სალომონ ოლემბე ოფსაიდში ვერ ჩატოვა. შედეგად კამერუნელი ოლივერ კანთან პირისპირ აღმოჩნდა და დუელი გერმანელმა მეკარემ მოიგო.

ცოტა ხანში რიგობერტ სონგი აისვეტა გერმანელთა საჯარიმოში, თავით ლონიერადაც დაჰკრა ბურთს, რომელმაც ძელს ჩაუზუზუნა.

კამერუნის ნაკრები ევროპულ ლიგებში გაჭრილი მოთამაშეებითაა სავსე, მწვრთნელიც გერმანელი ჰყავს, მაგრამ უკლასობამ, დიდი გამოცდილებისა და ტრადიციების არქონამ მაინც დაალალატა — კარსტენ რამელოს გაძევებამ მათ იერიშებს ფხა და შმაგობა ვერ შესძინა.

ჰოდა, მეორე ტაიმი რუდი ფიოლერის გუნდისა და მანქანის იყო. ვგონებ, გერმანიამ უკვე დაიმსახურა მისთვის მშობლიური და ახლო ცნება — მანქანა.

კარგად ვერ ჩაერთო თამაშში ოლივერ ნოივილი, რომელიც ფიოლერმა პირველად გაიყვანა მოედანზე, მაგრამ ნოივილს, ალბათ, კიდევ უბოძებენ შანსს. აი, თავბურთელი ოლივერ ბირჰოფისა და ტლანქი იანკერის ადგილი კი მანქანაში ნამდვილად აღარ არის. მანქანას სულ სხვანაირი ხალხი სჭირდება.

ერთი სიტყვით, რუდი ფიოლერი სიტყვის კაცი გამოდგა და დანაპირები პატიოსნად შეასრულა — გერმანია მერვედფინალში გავიდა. მაგრამ ფიოლერმა სამივე მატჩში სიურპრიზები შემოგვთავაზა — რუდი ხეზე ასვლას სწავლობს თუ ხეზე ხტუნვას?

საკითხავი აი, ეს არის.

## მატჩის შემდეგ

### რუდი ფიოლერი
*გერმანიის ნაკრების მწვრთნელი*

მატჩის დებიუტში ძალიან ვინერვიულეთ. სატურნირო ვითარების გათვალისწინებით, ფავორიტებად ვითვლებოდით და ეს ფეხბურთელებზე ზეწოლას ზრდიდა. პირველ ტაიმში ჩვენმა მეტოქემ კარგად ითამაშა. როგორც კი თამაში ოდნავ ავაწყეთ, მოედანზე ათი კაცით დავრჩით, თუმცა საბოლოოდ მაინც მოვახერხეთ წარმატების მიღწევა. ძალიან მოხარული ვარ მერვედფინალში მოხვედრით.

### ვინფრიდ შეფერი
*კამერუნის ნაკრების მწვრთნელი*

მატჩის გადამწყვეტი მომენტი მაშინ იყო, როცა მსაჯმა რამელო გააძევა. მე პირადად მერჩივნა, მეტოქე მცველი მოედანზე დარჩენილიყო, ხოლო ეტოოს ბურთი გაეტანა. ახლა არაფერი შეიცვლება, მაგრამ აზიაში ცოტა ადრე რომ ჩამოვსულიყავით და ირლანდიელებთან პირველი მატჩისთვის მეტი მოსამზადებელი დრო გვქონოდა, გაცილებით უკეთესი იქნებოდა. ვულოცავ გერმანელებსაც და ირლანდიელებსაც. მათ მერვედფინალში გასვლა დაიმსახურეს.

## სტენოგრამა

**მე-2 წუთი:** კრისტიან ციგემ კარსტენ იანკერს ჩააწოდა, მან კი კარს ზემოდან გადააცილა.

**მე-13 წუთი:** მეკარესთან პირისპირ დარჩენილი სალომონ ოლემბე დაიბნა და ოლივერ კანმა აჯობა.

**22-ე წუთი:** ბერნდ შნაიდერი მოედნის შუაგულიდან ცდილობდა კარიდან გამოსული ბუკარ ალიუმის დასჯას, მაგრამ ააცილა.

**26-ე წუთი:** პიერ ვომეს უძლიერეს დარტყმულს ოლივერ კანი გაუმკლავდა.

**27-ე წუთი:** რიგობერტ სონგის თავური ოდნავ ასცდა კარს.

**48-ე წუთი:** გერმანელთა კარისკენ რიგობერტ სონგი გაიჭრა სახიფათოდ, თუმც მცველმა კარგად ითამაშა.

**50-ე წუთი:** მიროსლავ კლოზემ იდეალური გადაცემით მეკარეს პირისპირ შეატოვა მარკო ბოდე, რომელმაც შანსი კარგად გამოიყენა.

**73-ე წუთი:** ლორენის თავური ძელს მოხვდა, პატრიკ მბომამ დაამატა, მაგრამ ოლივერ კანმა იმარჯვა.

**79-ე წუთი:** მიხაელ ბალაკის ჩაწოდებულს მიროსლავ კლოზემ საგოლე თავური მიაყოლა.

**88-ე წუთი:** მიხაელ ბალაკის სახიფათო თავური მეკარემ ნახტომში გააუვნებლა.

**90-ე წუთი:** იენს იერემისის უძლიერესი დარტყმა მეკარემ კუთხურზე მოიგერია.



REUTERS

კარსტენ რამელოს (მარჯვნივ) გაძევებამ კამერუნელები ვერაფრით ახეირა

# კორეა-იაპონია 2002
## E ჯგუფი. III ტური

# კინო უკინოდ გრძელდება

## №36 საუდეთი 0:3 ირლანდია

11 ივნისი. იოკოჰამა (იაპონია). 16.30 „ინტერნეიშენალ სთედიუმ". 65 320 მაყურებელი

0:1 კინი (7), 0:2 ბრინი (61), 0:3 დაფი (87)




შეცვლა: ჰარტი – 17. ქუინი (46), ალ-ხათრანი – 10. ალ-შლუბი (67), სულეიმანი – 15. ჯუმაანი (68), ალ-ჯაჰანი – 12. ა. ალ-დოსარი (79), კელი – 7. მაკატირი (80), კინსელა – 22. კარსლი (89)

გაფრთხილება: ალ-ტემიატი (61), სტონტონი (70)

მსაჯები: ფალა ნდოიე (სენეგალი);
მაცეი ვიერჩბოვსკი (პოლონეთი), ფრედერიკ არნო (საფრანგეთი)

| | | |
|---|---|---|
| 15 | ჯარიმა | 14 |
| 2 | კუთხური | 5 |
| 9 | კარისკენ დარტყმა | 9 |
| 5 | კარში დარტყმა | 5 |
| 3 | თამაშგარე | 1 |

**ვაჟა ხუციშვილი**

**დასამშვიდებელი** ინფორმაცია საფრანგეთის გულშემატკივრებისთვის: მსოფლიოს ჩემპიონები ერთადერთნი არ არიან, ვინც მუნდიალზე გოლის გატანა ვერ შეძლო. მათ საუდის არაბეთიც შეუერთდა. თუმცა ფრანგები ამ ნუსხაშიც დაჩაგრეს — 12 გაშვებული გოლით პირველზე საუდეთია.

კარგი საქმეა ნავთობის იმპორტი. დაჰკრავ ფეხს, „შავი ოქრო" ამოხეთქავს. მერე ჭაბურღილი, რაც შეიძლება გრძელი და ქაჩე, რამდენიც შეგიძლია.

მოსაწყენი ყოფილა მენავთობეობა. მერე რატომღაც ფეხბურთის თამაში უნდებათ ხოლმე. ამ თამაშ-თამაშით იმდენს აღწევენ მილიონერები, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზეც კი ხვდებიან. 1994 წლისგან განსხვავებით, ამჯამად საუდეთის ნაკრები თავად გახდა გოლების და ქულების სარეწი კანტორა.

საუდეთი ირლანდიისთვის ტკბილად მოსაგონარი იქნება. ირლანდიელებს მსოფლიოს ჩემპიონატებზე ერთ მატჩში ერთზე მეტი არასოდეს გაუტანიათ, ბედმა კი საჩუქრად ასეთი უსუსური გუნდი უძღვნა. მიკ მაკარტის ბიჭებმა საჩუქარი შეირგეს — სამი გოლი ერთ მატჩში. ესეც ახალი ფურცელი ირლანდიური ფეხბურთის ისტორიაში.

ერთიც უნდა აღვნიშნოთ, ირლანდიელებს მათი სათამაშო სტილისა და მაღალი ჩაწოდებების საპირისპიროდ თავით არ გაუტანიათ — ყველა ფეხით შეაგდეს.

განსაკუთრებით ლამაზი იყო გარი ბრინის გოლი. საჯარიმოდან ჩაწოდებულ ბურთს ბრინმა ფეხი ჩოგანივით დაუხვედრა და ლამაზად ჩაახვია მეტოქის კარში. პირველი და მესამე მოჰამედ ალ-დეაიას შეეძლო მოეგერიებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ისე, საბრალო კაცია ალ-დეაია. სამ თამაშში უფრო მეტი გოლი, ალბათ, არავის გაუშვია, თუმცა რა ქნას მეკარემ, როცა...

ირლანდიის ნაკრები მაშინ დამშვიდდა, გერმანელებმა კამერუნს რომ გაუტანეს. ცხადია, მაკარტიმ ეს მისთვის სასიხარულო ინფორმაცია შეიტყო და გუნდიც დააწყნარა. ბრინის გოლის შემდეგ კი მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა კლასის ამბავილა იყო.

ცალკე შეიძლება გამოვარჩიოთ დემიენ დაფის კარგი თამაში სამივე შეხვედრაში. იგი ნაღდად იმსახურებდა გოლს და შეძლო კიდეც გატანა.

სამბურთიანი ჩამორჩენის შემდეგ საუდის არაბეთის ნაკრებმა აღარ „გარისკა" და ზედმეტი რისხვის ასაცილებლად სასურველი შედეგით, ბურთის წყნარად გორებით დაასრულა მატჩიც და ჩემპიონატიც.

მიკ მაკარტისთვის მთავარი ახლა ისაა, რომ როი კინის გარეშე შეძლო წარმატების მიღწევა. ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა მილო კორკორანმა მაკარტის მართლობა არ აგრძნობინა. მესამე ჯგუფურ მატჩამდე კონტრაქტის გაგრძელება კიდევ ოთხი წლით შესთავაზა, რითაც კენჭი როი კინის ბოსტანში ისროლა. „სულელები ვიქნებით, ამ კაცს კონტრაქტი რომ არ გავუხანგრძლივოთ. პირადად მე ძალიან მინდა, მაკარტი კვლავაც ნაკრების სათავეში ვიხილო" — ასე ბრძანა მილო კორკორანმა და მერვედფინალში გასულ, მეცხრე ცაზე ასულ მიკ მაკარტის, ალბათ, კონტრაქტსაც დაუდებენ წინ ხელმოსაწერად.


რობი კინმა სამერვედფინალო მალაყი ძალიან ადრე გაჭიმა

## სტენოგრამა

**მე-7 წუთი:** საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს კარისკენ ზურგით მდგომმა რობი კინმა შემობრუნებით დაჰკრა და ულამაზესი გოლი გაიტანა.

**მე-17 წუთი:** კევინ კილბეინის 25 მეტრიდან დარტყმული მეკარემ მოიგერია.

**22-ე წუთი:** აბდულაზიზ ალ-ხათრანის დარტყმულს შეი გივენი გაუმკლავდა.

**30-ე წუთი:** მეტ ჰოლანდმა კარს გადააცილა.

**მე-40 წუთი:** ნავაფ ალ-ტემიატის გასროლილი ოდნავ ასცდა კარს.

**43-ე წუთი:** ამჯერად ნავაფ ალ-ტემიატს შეი გივენმა აულო რთული ბურთი.

**49-ე წუთი:** დემიენ დაფმა რობი კინს უპასა, რომლის დარტყმულიც ოდნავ არაზუსტი გამოდგა.

**54-ე წუთი:** რობი კინის დარტყმული მეკარემ გააუვნებლა.

**61-ე წუთი:** საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთზე გარი ბრინმა მცველს დაასწრო და მეორე გაუტანა საუდელებს.

**64-ე წუთი:** ნაილ ქუინმა კარს ააცილა.

**69-ე წუთი:** ნაილ ქუინმა ვერც ამჯერად გაისწორა მიზანი.

**73-ე წუთი:** ობაიდ ალ-დოსარმა კარს გადააშორა.

**75-ე წუთი:** ნავაფ ალ-ტემიატს მეკარემ აულო.

**87-ე წუთი:** საჯარიმოში შეჭრილმა დემიენ დაფმა კარში დაარტყა. მეკარემ ბურთი უხერხულად მოიგერია და... საკუთარ კარში ჩაჭრა.

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 11:1 | 7 |
| ირლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| კამერუნი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| საუდეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:12 | 0 |

## მატჩის შემდეგ

**ნასარ ალ-ჯოჰარი**
*საუდეთის ნაკრების მწვრთნელი*

ჩვენმა გუნდმა უკეთესი ფეხბურთი ითამაშა. ბურთს უფრო ხშირად ჩვენ ვფლობდით, ვიდრე ირლანდიელები, თუმცა სამწუხაროდ, გოლი ვერ გავიტანეთ. მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობითაც კი კმაყოფილი ვართ, თუმცა შედეგებით იმედგაწბილებულნი დავრჩით. მოხარული ვიქნებით, თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის შანსი მომავალშიც მოგვეცემა. ისე, ჩვენ ვინ გაგვაკრიტიკებს, როცა საფრანგეთის ნაკრებმაც ვერ მოახერხა ერთი გოლის გატანა.

**მიკ მაკარტი**
*ირლანდიის ნაკრების მწვრთნელი*

დღეს მეტის გატანაც შეგვეძლო, მაგრამ მერვედფინალში მაინც მოვხვდით და ამიტომ სადარდელი არაფერია. სანამ შევძლებთ, ვიბრძოლებთ, მოსაგებად ვითამაშებთ. ვერავინ იტყვის, რომ ამის ძალა არ შეგვწევს. ისე, ღლევანდელ თამაშში ჩემს ბიჭებს მცირე დაძაბულობა და ნერვიულობა მაინც ეტყობოდათ.


ასოციაციამ მიკ მაკარტისთან ახალი კონტრაქტი აფრინა


გარი ბრინმა საგოლედ მოიჭნია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორეა-იაპონია 2002
ანონსი. III ტური. B ჯგუფი. №39

## ს. აფრიკა — ესპანეთი

დღეს. დაეჯონი (კორეა). „დაეჯონ უორლდ კაფ სთადიუმ“. 16.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| ს. აფრიკა | ესპანეთი |
| --- | --- |
| არენდსე, ნზამა, ა. მოკოენა, რადებე, კარნელი, ფორჩუნი, სიბაია, ტ. მოკოენა, ზუმა, მაკკარტი, ნომვეტე | კასილიასი, პუიოლი, ტორესი, ელგერა, ნადალი, ე. რომერო, ლუის ენრიკე, ვალერონი, ხავი, მენდიეტა, რაული, მორიენტესი |
| მწვრთნელი: იომო სონო | მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო |

მსაჯი: საად მანე (ქუვეითი)

# კამაჩო არ გააფრენს



ესპანელები ლაღობენ: რაულმა პედრო კონტრერასს ბურთი მოპარა

**გარკვეული ამბავია** — ამ ჯგუფში პირველ ადგილზე გასული ირლანდიას შეხვდება. პირველზე ჯერჯერობით ესპანეთია და თუ გავითვალისწინებთ უკვე მომხდარ მოულოდნელობებს, გამორიცხული არაა ჯგუფის სათავეში სამხრეთ აფრიკა მოექცეს. ყოველ შემთხვევაში, ფრე ესპანელებს დატოვებს ამჟამინდელ ადგილზე, არც „ბაფანა-ბაფანა“ გაიგიჟებს თავს, არიქა უნდა მოვიგოთო, მაგრამ ფრე როგორი ხიფათიანი ანგარიშია, თავად მოგეხსენებათ.

„ყველანი მოსაგებად ვართ განწყობილნი და პირველი ადგილისთვის ვიბრძოლებთ. მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნება ძირითად შემადგენლობაში. ზედიზედ მოპოვებული გამარჯვებები ფორმის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებაა. ფრე არ გვაკმაყოფილებს, თან თამაშის ხარისხის გაუმჯობესება გვსურს. კარგად ვითამაშეთ სლოვენიის წინააღმდეგ, უფრო უკეთ პარაგვაისთან, დღევანდელი მატჩიც გუნდური თამაშის დასახვეწად უნდა გამოვიყენოთ, ჩვენ ხომ ჯერ არაფერი მოგვიგია“.

ფერნანდო იეროსთვის ეს უკვე მეოთხე მსოფლიოს ჩემპიონატია. 1990-ში ნაკრების განაცხადში კი იყო, მაგრამ მინდორზე წუთითაც არ გასულა. ესპანელთა კაპიტანმა სამხრეთაფრიკელებზეც ილაპარაკა: „მართალია, ქვეყანას მწირი საფეხბურთო წარსული აქვს, მაგრამ მერვედფინალში გასვლას ნამდვილად იმსახურებს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ბენი მაკკარტის „სელტაში“ უთამაშია, ხოლო კვინტონ ფორჩუნი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ღირსებას იცავს. ეს ფაქტი მათ მაღალ კლასზე მეტყველებს“.

ხოსე ანტონიო კამაჩო მეტოქეს აფრთხილებს, იოლ გასეირნებას ნუ ელითო. „ბაფანა-ბაფანას“ ქულაც თავს სდის, მაგრამ კამაჩოსგან საჩუქრად ვერაფერს მიიღებენ: „გამარჯვების გარდა მოედანზე სხვა რამისთვის გასვლა აბსურდია. სიმართლე გითხრათ, ჩვენ არც კი ვიცით, როგორ უნდა ვითამაშოთ ფრე“.

ესპანელთა თავკაცს სამხრეთაფრიკელები განსაკუთრებით პარაგვაისთან მოსწონებია: „მათ ორბურთიანი სხვაობის გაბათილება შეძლეს, რაც ბრძოლისუნარიანობაზე მიუთითებს. ისიც გვახსოვს, რომ სლოვენიასთან პირველივე წუთებზე მოპოვებული უპირატესობა მთელი მატჩის განმავლობაში შეინარჩუნეს. გამოცდილება აკლიათ, სამაგიეროდ, მთელ მოედანზე მუშაობენ და ჯერ ყველაფერი წინ აქვთ“.

კამაჩო გუნდში ცვლილებებს აპირებს. დაცვის ცენტრში, ალბათ, მიგელ ანხელ ნადალს ივან ელგერას შეუწყვილებს. ფლანგებზე, სავარაუდოდ, პუიოლს, ტორესსა და ენრიკე რომეროს ვიხილავთ. დე პედრო ეგებ ქერა ბასკმა, გაისკა მენდიეტამ შეცვალოს, ხოლო ბარახა კი — სერხიმ.

იომო სონოს ბევრი შემცვლელ-შესაცვლელი არავინ ჰყავს. ზუმა, ნომვეტე, მაკკარტი და მათი ჯანი. სამხეთაფრიკელთა მწვრთნელი გულახდილად არის: „გამოგიტყდებით, რომ არც ველოდით, თუ მერვედფინალი ერთი ხელის გაწვდენაზე იქნებოდა. ამიტომ ჩვენ ჩვეულად, ჯიგრიანად ვითამაშებთ. მარცხი ტრაგედია არ იქნება“.

„ბაფანა-ბაფანას“ პირველი სამსოფლიოსჩემპიონატო გამარჯვების შემდეგ კინკილა ქულა უნდა და მერვედფინალსაც დააჭრშნიკებს.

**გაჭა ხუციშვილი**

კორეა-იაპონია 2002
ანონსი. III ტური. B ჯგუფი. №40

## სლოვენია — პარაგვაი

დღეს. სეოგვიპო (კორეა). „სეოგვიპო ჯეი უორლდ კაფ სთადიუმ“. 16.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| სლოვენია | პარაგვაი |
| --- | --- |
| სიმეუნოვიჩი, ბულაიჩი, გალიჩი, მილინოვიჩი, კარიჩი, ნოვაკი, ა. ჩეჰი, პავლინი, რუდონია, აჩიმოვიჩი, ოსტერცი | ჩილავერტი, არსე, გამარა, ს. აიალა, კასერესი, კანისა, პარედესი, აკუნია, ხორხე კამპოსი, ხ. კარდოზო, სანტა კრუზი |
| მწვრთნელი: სრეჩკო კატანეცი | მწვრთნელი: ჩეზარე მალდინი |

მსაჯი: ფელიპე რამოს რიზო (მექსიკა)

# რთული წინადადება: ყველაფერი ძალიან მარტივად არის



ხოსე ლუის ჩილავერტი



ჩეზარე მალდინიმ პარაგვაელებს სლოვენიის რიდი შთააგონა

**პარაგვაელები** დიდ გულზე არიან, უფრო სწორად, ჩვეულებისამებრ, მათი კაპიტანი, მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი ბაქი-ბუქობს: ყველაფერი ძალიან მარტივად არის, ესპანეთი სამხრეთ აფრიკას მოუგებს, ჩვენ კი სლოვენიას და მერვედფინალში გავალთ — ამბობს სამხრეთამერიკელთა ქარიზმატული ლიდერი.

თუმცა საქმე არც ისე „მარტივადაა“, თუ ესპანეთი „ბაფანა ბაფანას“ ვთქვათ, 1:0 მოუგებს, მაშინ პარაგვაის სულ მცირე ორი ბურთით გამარჯვება დასჭირდება, რაც სლოვენიელთა ბანაკში მომხდარი არეულობის გათვალისწინებითაც კი, ერთობ რთული იქნება. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ესპანეთი უკვე მერვედფინალშია და ბოლო მატჩში ცოტა თავსაც გაუფრთხილდება, ესპანეთი — სამხრეთ აფრიკის ფრეს კი შემდგომ ეტაპზე „ბაფანაც“ გაჰყავს...

ჩილავერტი კი ფილოსოფოსობს, მაგრამ ახლა სლოვენიელებს აღარ ეკითხება? მათ ხომ ორივე თამაში წააგეს და ახლა საკუთარი მაყურებლის თვალში რეაბილიტაციას შეეცდებიან. სხვა თუ არაფერი, მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტები არიან და უქულოდ შეჯიბრების დამთავრებას არ აპირებენ. კარის გაჯახუნებას შევეცდებითო, ამბობენ ისინი და დიდი ბრძოლისთვის ემზადებიან. ეგ არის, აფრიკელებთან წინა მატჩში მსაჯის შეურაცხყოფისთვის ფიფამ კატანეცი ერთი მატჩით დასაჯა და პარაგვაისთან შეხვედრას „დიდი სლოვენიელი“ ტრიბუნიდან უცქერს.

სლოვენიელებს არ ეყოლებათ დაშავებული მცველი ალექსანდრ კნავსი, სამაგიეროდ, დაუბრუნდებათ მარინკო გალიჩი, ვინც „ბაფანასთან“ თამაში გამოტოვა. წინასწარი ინფორმაციით, კატანეცის გუნდი 4-5-1 ტაქტიკური სქემით დაუპირისპირდება პარაგვაის. ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელი თელ ავივის ჰაპოელელი მილან ოსტერცი იქნება, ხოლო ნაკრებიდან გაძევებული ზლატკო ზაჰოვიჩის მაგიერ ძირითადში მოხვედრილი მილენკო აჩიმოვიჩი ნახევარმცველ-თავდამსხმელის როლს იკისრებს და შეეცდება თავისი პლეიმეიკერული უნარიც გამოავლინოს.

„მთავარია სლოვენიას მოვუგოთ, მერე კი ვნახოთ, ეგებ მერვედფინალშიც გავიდეთ“ — ამბობს პარაგვაელთა იტალიელი დამრიგებელი ჩეზარე მალდინი, ვინც 5-3-2 ტაქტიკური სქემით თამაშს აპირებს და სჯერა, რომ ფორვარდები ხოსე კარდოზო და როკე სანტა კრუზი მოწინააღმდეგის დაცვას ბევრ პრობლემას შეუქმნიან.

უცნაურად წარიმართა პარაგვაელთა ბედი წლევანდელ ტურნირზე, ისინი ხომ წინა ორივე შეხვედრას იგებდნენ, მაგრამ აფრიკელებთან ფრეს გამორჩნენ, ხოლო ესპანეთთან სულაც 1:3 წააგეს. ჩილავერტიც აღარ არის ძველი ჩილავერტი, პირველი თამაში დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, მეორეში დიდი რიხით ჩადგა კარში, მაგრამ რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა. მეორე, გადამწყვეტი გოლი ხომ ესპანელებმა მისი უნიათობის შედეგად გაიტანეს, თავისი ქვეყნის პრეზიდენტობის მოსურნე კაცი კარიდან გამოსვლისას შეცდა.

მოკლედ კუნძულ ჩეჯუზე, სეუგვიპოში დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი, თუმცა ცალ ყურს მაინც დეჯეონისკენ მიაპყრობენ, სადაც ყველაფერი, შესაძლოა, თანაჯგუფელთა მატჩმა გადაწყვიტოს.

**სოლომონ ბულისაშვილი**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| ს. აფრიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| პარაგვაი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| სლოვენია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

**კორეა-იაპონია 2002**
**ანონსი. III ტური. F ჯგუფი. №37**

**შვედეთი — არგენტინა**

დღეს. მიიაგი (იაპონია). „მიიაგი სთადიუმ". 11.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| შვედეთი | არგენტინა |
|---|---|
| ჰედმანი, მელბერგი, მიალბი, იაკობსონი, ლუკიჩი, ალექსანდერსონი, ლინდეროტი, ა. სვენსონი, ლიუნგბერგი, ლარსონი, ოლბოკი | კავალიერო, პოჩეტინიო, რ. აიალა, სამუელი, ხ. ძანეტი, ვერონი, სორინი, აიმარი, ორტეგა, ბატისტუტა, კილი გონსალესი |
| მწვრთნელები: ტომი სოდერბერგი და ლარს ლაგერბეკი | მწვრთნელი: მარსელო ბიელსა |

**მსაჯი: ალი ბუჯსაიმი (საამიროები)**

# სულო კბილით დასაჭერი

## ვისი საფლავი ითხრება დღეს?



ბიელსამ არგენტინა ბურუსში გახვია

**ესეც** სიკვდილის ჯგუფი! დღეს შესაძლოა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის გასვენება ვნახოთ. არგენტინა უარს ამბობს თავის დაკრძალვაზე, მაგრამ შვედებს მიწის მისაყრელად გამზადებული აქვთ ნიჩაბი.

არგენტინა თუ შვედეთი... სამშობლოში თავაწეულები ჩავალთო, ამბობს აიმარი, ბარგი ჩასალაგებელი შვედებს გაუხდებათო, იქადნება ორტეგა, ბრძოლას კბილებითაც ვაპირებო, იღრინება ბატისტუტა. და მაინც, არგენტინა თუ შვედეთი...

ახლა, ალბათ, უმნიშვნელოც კია იმის გახსენება, რომ ბევრით სკანდინაველებს შორეული, 1934 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის პირველივე წრიდან დაფრენილი ჰყავთ სამხრეთამერიკელები. შვედეთმა არგენტინას მაშინ 3:2 სძლია. დღეს ლაგერბეკ-სოდერბერგის ბიჭებს ფრეც ჰყოფნით მერვედფინალში ბრძოლის გასაგრძელებლად, მაგრამ არგენტინისთვის ეს მატჩი ომია, ომი, რომელზეც მარტო საფეხბურთო ამბები არ ჰკიდია. ეჰ, წუთით მაინც რომ შეგვახედა ეკონომიკადაქცეულ, ნახევრადმშიერ არგენტინაში... იქაურობას დღეს ერთადერთი წამალი სჭირდება, სასიცოცხლო მნიშვნელობის წამალი და ეს წამალი დღესდღეობით მხოლოდ იაპონურ მიიაგიში იშოვება...

სატურნირო ცხრილშიც ჩავიხედოთ... უმოკლესი გზა მერვედფინალისკენ არგენტინისთვის გამარჯვებაა, მაგრამ არის ვარიანტი, ბიელსას ბიჭებს ფრეც რომ აარიდებს ტრაგედიას. ეს იმ შემთხვევაში, თუ ინგლისი ორი და მეტი ბურთით წააგებს ნიგერიასთან ან ალბიონელები მინიმალური სხვაობით დამარცხდებიან და არგენტინა შვედეთი ერთმანეთში უხვგოლიან ფრეს გააგორებენ (2:2, 3:3...). ორივე შემთხვევაში ჯგუფიდან შვედები და არგენტინელები გაღწევენ, მაგრამ საკითხავია, ღირს კი არგენტინისთვის ინგლისის წაგების იმედად ყოფნა? ალბათ, არა და ამიტომაცაა, კბილებს რომ აღრჭიალებენ სამხრეთელები.

არგენტინას ჯერ არ უჩვენებია თავისი ნამდვილი სახე და დღეს ყველა დაინახავს დიდი მიზნისკენ მიმავალ გუნდს — ამბობს ხავიერ ძანეტი და ვალტერ სამუელსაც უგიზგიზებს ცეცხლს: „სამუელი მხეცია, აიალას არყოფნას არ დაგვატყობს და თავის საქმეს ისევე ჩინებულად გაუძლვება, როგორც ჩვენ, დანარჩენები". ძანეტის აიალაზე სიტყვა შემთხვევით არ ჩამოუგდია. ამ ფეხბურთელის ნათქვამს თუ ვერწმუნებით, ფეხატკიებული აიალა დღეს არ ითამაშებს, მაგრამ არგენტინელთა ბანაკიდან გაჟონილ ინფორმაციას თუ ვერწმუნებით, აიალა დღეს ძირითად შემადგენლობაში უკაპიტნებს თავისიანებს და საერთოდ არგენტინელები გულდაგულ მალავენ სავარაუდო შემადგენლობას. შესაძლოა, ბიელსას ბიჭები უვერონოდ გაუვარდნენ შვედებს. არსებობს საპირისპირო ვერსია, რომ თეთრ-ცისფერები აიმარის ზურგსუკან მდგომი ვერონით დაიწყებენ თამაშს. გაურკვეველია არიელ ორტეგას საკითხიც. მოკლედ, დაზუსტებით კაცმა არ იცის, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს მარსელო ბიელსა.

ცივსისხლიანი შვედების ბანაკშიც შევიხედოთ. ამბობენ, სკანდინაველებმა ვერაფერი მოუხერხეს პატრიკ ანდერსონის ტრავმასო — ნაკრების ექიმმა გუშინ ოფიციალურად განაცხადა, ანდერსონის თამაში გამორიცხულიაო, მაგრამ ამგვარი დიდი მატჩების წინ მსგავს განცხადებას სერიოზულად არ შეეხედება. ფეხს იტკიებს ფრედერიკ ლიუნგბერგი, მაგრამ რაღა გასაკვირია, რომ არსენალელი თმაწითელა შვედი ნატკენი თეძოსკენ არც კი იხედება. ძირითადში იქნება ნიგერიის წამქცევი ჰენრიკ ლარსონიც, ამ ორზე მართლაც ბევრი რამ არის დამოკიდებული...

არგენტინას კი წამალი სჭირდება...

**ბაატა ძვანტალიანი**

**კორეა-იაპონია 2002**
**ანონსი. III ტური. F ჯგუფი. №38**

**ნიგერია — ინგლისი**

დღეს. ოსაკა (იაპონია). „ოსაკა ნაგაი სთადიუმ". 11.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| ნიგერია | ინგლისი |
|---|---|
| შორუნმუ, უდეზე, ვესტი, ოკორონკვო, ბაბაიარო, იობო, ოკოჩა, კრისტოფერი, ოგბეჩე, აგაოვა, უტაკა | სიმენი, მილსი, ფერდინანდი, კემპბელი, ე. კოული, ბექემი, ბათი, სქოულზი, სინკლერი, ოუენი, ჰესკი |
| მწვრთნელი: ადეგბოიე ონიგბინდე | მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი |

**მსაჯი: ბრაიან ჰალი (აშშ)**

# შანსი უშანსოთა

## სულელური და საშიში

**ბევრი რომ** აღარ ვილაპარაკოთ, ინგლისს ფრეც ყოფნის მერვედფინალში გასასვლელად. ყაიმით სვენ გორან ერიკსონის გუნდი სულ მცირე ადგილს გამორჩება ჯგუფში და მომავალ მეტოქედ სენეგალი ჯობია თუ დანია, მერე ვიბაასოდ.

გაერთიანებული სამეფოს გულში კვლავაც ზეიმობენ არგენტინელთა დამარცხებას, თუმც ძლევაი გასახარი უკვე უკანმოტოვებული ამბავია და წინ ახლა ნიგერიაა.

ინგლისელთა შვედი თავკაცი ინგლისელებს აფრთხილებს, თავს იმის ნება არ უნდა მივცეთ, რომ დაცვაში ჩავდგეთო და დასძენს: „ეს ძალიან სულელური და საშიში რამ იქნება. ამ მატჩს ფინალივით უნდა მივუდგეთ. ნიგერიას ნული ქულა კი აქვს, მაგრამ ძალიან კარგი მოთამაშეები ჰყავს და მათ ფეხბურთის თამაში შეუძლიათ. ეს ექვეგარეშეა".

ერიკსონის გუნდს არგენტინასთან დაშავებული ოუენ ჰარგრივსი არ ეყოლება, რომელსაც, სავარაუდოდ, ტრევორ სინკლერი შეცვლის.

სავარაუდოდ, ერიკსონი, ალბათ, ოთხი ნახევარმცველით ათამაშებს გუნდს — მარცხნივ სინკლერი, მარჯვნივ ნიკი ბათი, საყრდენი პოლ სქოულზი და შემტევი შუახაზელი ცხადია, დევიდ ბექემი.

ნიგერიელებს ნვანკვო კანუ ვერა ჰყავთ მთლად ჯანზე. ის პირველივე მატჩში დაშავდა არგენტინასთან, ხოლო შვედებთან ოდენ შეცვლაზე ითამაშა. კანუ წესით არც დღეს უნდა გამოჩნდეს სასტარტოში, შეცვლაზე კი ალბათ ითამაშებს თავის „მეთოფე" თანაგუნდელი მცველების, ეშლი კოულის და სოლ კემპბელის წინააღმდეგ.

ნურც იმას დაივიწყებთ, რომ უშანსო ნიგერიას ინგლისის ტურნირიდან დაფრენის შანსი აქვს.

**დავით თავართქილაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ინგლისი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| არგენტინა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ნიგერია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |



დევიდ ბექემი ინგლისს უკაპიტნებს და შეტევაშიც გაუძღვება



მაშინ, როცა დედა ინგლისის ხვადი ქომაგნი პაბებში ღრეობენ, ეს ძუ ფანი საყვარელი და ეროვნული ნაკრებისთვის ურცხვად გაპრანჭულა.

ამ ცხრამეტი წლის გოგონას ანა ჰქვია და აღმოსავლეთ ლონდონში, მუშათა კლასის საყუდელში ცხოვრობს. საცვალი კი ინგლისის დროშით დაუმშვენებია.

მას თურმე ინგლისი და ერიკსონის კაცები საშინლად უყვარს, ეს ცელქობაც ფეხბურთის ნაწილი ჰგონია — ანა იქიდანაა, სადაც ფეხბურთი ძალიან უყვართ.

# იუბილარი



## თომას სორენსენი
**(დანია) 12.06.76**

საფრანგეთის ნაკრებმა მუნდიალი უგოლოდ დატოვა. თუ სენეგალთან და ურუგვაისთან ზიზედინ ზიდანი აკლდა, დანიასთან ზიდანით ითამაშა და მაინც ვერ გაიტანა. ამაში თავისი წვლილი დღევანდელ იუბილარს, დანიელთა კარის დარაჯს თომას სორენსენსაც მიუძღვის, ვინაც დღეს ოცდაექვსი წლისა მოიყარა და საზეიმო განწყობა დიახ, რომ აქვს.

ახლა სორენსენი ინგლისურ პრემიერლიგაში თამაშობს, „სანდერლენდის" კარს იცავს, კარიერა კი მშობლიურ „ოლბორგში" დაიწყო, მერე „ვაილეში" გადავიდა და ინგლისშიც იქიდან მიაშურა.

შევნიშნოთ, რომ სორენსენის მისვლისას, 1998 წელს, „სანდერლენდი" პირველი დივიზიონის ბინადარი იყო. ერთადერთ პირველდივიზიონურ სეზონში მეკარემ წინამორბედთა რეკორდიც მოხსნა — 46 მატჩში ოდენ ოცდარვა გოლი გაუშვა, „სანდერლენდს" ასეთი შედეგი იქამდე არასდროს ჰქონია.

სორენსენი ნაკრებში 1999 წელს მიიწვიეს. მისი დებიუტი 17 ნოემბერს შედგა ისრაელთან. მაგრამ ამ ხნის მანძილზე სულ თვრამეტჯერ მოირგო სანაკრებო კეპი. მიზეზს რა მიხვედრა უნდა — ბოლო დრომდე ხომ დანიელთა კარს ლეგენდარული პიტერ შმაიხელი იცავდა.

დღეს თომას სორენსენი შმაიხელის ჩრდილში აღარ იმყოფება.

# დაიწყო ფრჩხილით, გაგრძელდა წვივით



დი ბიაჯოს ტრავმა ფრანჩესკო ტოტის (მარჯვნივ) ცუდად ენიშნა

**ლუიჯი დი ბიაჯო,** მილანის „ინტერის" 31 წლის ნახევარმცველი, „სკუადრა აძურას" ორი კვირის მანძილზე ვერაფრით დაეხმარება: „ჯიჯის მკურნალობა სჭირდება და 15 დღის შემდეგ თუ დაუბრუნდება მინდორს" — განაცხადა იტალიის ნაკრების ექიმმა ანდრეა ფორეტიმ.

დი ბიაჯო, ვინც მსოფლიოს წინა ჩემპიონატის მეოთხედფინალში ფრანგებთან საბედისწერო პენალტი ვერ გაიტანა, ეკვადორთან პირველ მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მაგრამ მოულოდნელად ფეხის თითში ფრჩხილი შეეზარდა და ხორვატებთან მეორე, ავადმოსაგონარი თამაშიც ამიტომ გამოტოვა. ახლა ამას მარჯვენა წვივის ტრავმაც დაემატა და თუ იტალიამ ნახევარფინალს უწია, მხოლოდ მაშინ თუ შეუერთდება თავისიანებს.

„ძალიან მეწყინა ჯიჯის ამბავი, მან ხომ ტურნირი ჩინებულად დაიწყო" — თქვა „აძურას" ნახევარმცველმა ანჯელო დი ლივიომ, ხოლო ფრანჩესკო ტოტიმ დაამატა: „მართლაც ცუდი ამბავია. ჯიჯი ერთობ მნიშვნელოვანი ფეხბურთელია ჩვენთვის და მისი არყოფნა დაგვეტყობა".

ხორვატებთან დი ბიაჯოს ნაცვლად კრისტიან ძანეტიმ ითამაშა, გუშინდელი ვარჯიში კი ფეხის ტრავმის გამო გააცდენია, თუმცა ექიმები იმედოვნებენ, რომ სამქსიკოდ ჯანზე იქნება. ვფიქრობ, ძანეტი ერთადერთი მოთამაშეა, ვისაც დი ბიაჯოს სრულფასოვნად შეცვლა შეუძლია, დასძინა ტოტიმ.

**სოლომონ გულისაშვილი**

24 საათის განმავლობაში
სპორტული ასპარეზობების მიმდინარე შედეგები
უსწრაფესი მომსახურეობით
1 წუთი – 40 თეთრი. ტელ.: 822 009 015
რეგიონებიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან და მეგაკომიდან. 1 წუთი – 60 თეთრი

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

## სპორები საპოროდან



ინგელბერტ პონტელავა
საპოროდან იმენა
კოსმოპოლიტური ბიუროსთვის

ზდაროვათ, ძმებო! აღარ შემიძლია რა ამ იაპონიაში ყოფნა, ჩავლპი კაცი. მომენატრა, ტო, ჩემ უბანში, კორპუსებს შორის პივით დათრობა, ზედ არყის დაყოლება და ღამის პირველ საათზე მთელი მასივის გასაგონად ღრიალი. იმენა ეს არის ქართული ჯიგარი, თორემ ამათი დედა ვატირე, მთელი ქვეყანა იმენა, როგორი როჟაა, იცი? აი, სკოლაში ხუთოსნები რო იყვნენ და მაგრა არ მევასებოდნენ.

ეხლა, იმ დღეს, აკაკი ავაზაკიმ მითხრა, წამო იმენა ჩემი თვითმფრინავით გადავფრინდეთ და ბრაზილიის ვარჯიშს დავესწროთო. მეთქი, დავაი. წავედით, მივედით, შევედით. გავგიჟდი. ჩემი კაი, ესენიც რა კომკავშირელი როჟები ყოფილან. აზრზე მოდი, დგას მოედნის შუაში ტრენერი, გვარი იმენა არ მახსოვს და სიას კითხულობს:



— ედილსონი!
— ვარ!
— ედმილსონი!
— ვარ!
— დენილსონი!
— ვარ!
— ანდერსონი!
— ვარ!
— კლებერსონი!
— ვარ!
— რონალდინიო!
— ვარ!
— რიკარდინიო!
— ვარ!

ე, მეთქი, თქვენ ძმებო, ცოტა ლეტნად ხო არა ხართ, გვაშაყირებთ თუ რა არი, ტო? ისინი კიდე, უი, უი, მზვერავიო და დაცვას გამოუძახეს. მეთქი, მზვერავი და ნასედკა მამაშენია, შე ახვარო, მაგრამ საიდანლაც ორი ორმეტრიანი იაპონელი თუ კორეელი გამოვარდა და გამტისკეს. ე, მე ვიყო შპროტი, მე ეგ იაპონია-კორეელები სუ ნახტომში მეტრანახევრიანი ხალხი მეგონა, ეგენი კიდე ამბალები ყოფილან, ტო.

მერე აკაკი ავაზაკი მეუბნება, წამო, პონტელავა სან, მაშინ ესპანეთი ვარჯიშობს აქ ახლოს და იმას დავესწროთო. წავედით. ვხედავ დარბიან. მერე რაულა კარში დგება და გუნდის ექიმი პენალტებს ურტყამს. მერე ექიმი დადგა კარში და პენალტი არავინ დაურტყა. მერე დამინახეს. აგე, აგე მზვერავიო! მეთქი, დაგჭრით თქვე ახვრებო, თქვენ რა გამიხურეთ, ვინ არის თქვენი ნასედკა, მე თქვენი... ამ დროს, ვხედავ დინჯი ნაბიჯით მაგათი ტრენერი, კამეჩო მიახლოვდება. თან ისე იღიმება, გეგონება რამეზე გამომიჭირა მაგ ახვარმა. და მეუბნება:

— შენზე ამბობენ, პოლიციაში მუშაობსო! დაგიქირავეს ხომ მეტოქეებმა!

გავცოფდი. მეთქი:

— ე, მე თუ პოლიციაში ვმუშაობ, ილლიები შენ რატო გაგიოფლიანდა, შენი...

და ეს რო ვთქვი ყველა იმენა გაშრა. მოტრიალდნენ მასტები, შეხედეს. ამ კამეჩომ ღრიალი დაიწყო:

— მე არა, ძმებო!

მაგრამ ვინ დაუგდო ყური.

ჰოდა, იტოგში, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ შეიძლება ახლა, შემდეგ თამაშში ესპანია მე გამოვიყვანო. თუ ასე იქნება, გეტყვით, თუ არა და...

იტოგში, კიდე მოგწერთ: *ავტორი: ენგელბერტ პონტელევა* ხელმოწერა: +





ესპანელებმა კამაჩო ნასედკობაში ამხილეს

# მსოფლიო ჩემპიონატმა მსოფლიო ომი გაიხსენა
## მარტოხელა კილერმა 70 მილიონი მოკლა

იმზარ ზენაიშვილი
საგანგებოდ „სარბიელისთვის“
სეულიდან



**შიშს რომ** დიდი თვალები აქვს, ცნობილია. თამაშების მნიშვნელობისა და მათი დაძაბულობის ზრდასთან ერთად მატულობს სტადიონებზე და ქალაქებში არეულობისა და ძალმომრეობის შანსი. კვირას სეულის მთავარ პრესცენტრში ყოველდღიური ბრიფინგი გაიმართა. მთავარი თემა სწორედ უსაფრთხოების საკითხები იყო, რომლის გარშემო ფიფას შესაბამისი სამსახურის უფროსმა ვალტერ გოგმა ისაუბრა. მას არც 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადა დავიწყნია და არც შარშანდელი სექტემბრის ნიუ იორკის მოვლენები. „ორივე ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურები, წესრიგის დამცველნი მობილიზებულნი არიან და დიდ გაუგებრობებს არ უნდა ველოდოთ“ — დაასკვნა გოგმა.

ასპარეზობის ადგილებს იცავენ ჰაერიდან, ხმელეთიდან, ზღვიდან. წარმოუდგენელი ზომებია მიღებული ამერიკელთა გუნდის მიმართ — აეროპორტიდან სასტუმროში მათ 500 პოლიციელი აცილებდა. „ეს უკვე ზედმეტია“ — გაღიზიანება ვერ დაფარა გუნდის მწვრთნელმა ბრიუს არენამ. ეს კიდევ არაფერი, კორეა — აშშ-ის მატჩის გარშემო ატეხილი აურზაურისა და ორომტრიალის გამო მასპინძლებმა უპრეცედენტო ზომები მიიღეს — მობილიზებული იყო მთელი სახელისუფლებო ძალები. „ჩვენი პრესტიჟის საქმეა, რომ დეგუში სტადიონზე მისულ 5 ათასს ამერიკელ ფანსა და ათეულ ათასობით კორეელ გულშემატკივარს შორის, ნებისმიერი შედეგის მიუხედავად, გაუგებრობა არ მოხდეს, არც თამაშამდე, არც მის დროს და არც მის შემდეგ“ — თქვა საორგანიზაციო კომიტეტის მედიის დირექტორმა კიმ ჩემინმა.

არადა, ამ მატჩის წინ სამხრეთკორეულ პრესაში იწერებოდა — ამერიკელები ჩვენი მეგობრები არიან თუ მტრები? ისე, ამერიკელთა 37-ათასიანი სამხედრო კონტინგენტი იცავს ქვეყნის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას.

ისიც ითქვა, რომ ყველა გუნდში უსაფრთხოების ოფიცერია და ისიც, რომ ორ ფეხბურთელს პერსონალური დაცვა ჰყავს, რომელთაგან ერთ-ერთი ზინედინ ზიდანია...

ზიდანს დაცვა აღარ სჭირდება — ფრანგთა ბოლო იმედის მატჩი უიმედოდ დამთავრდა. გასახდელისკენ პირველი ზინედინ ზიდანი გაემართა. ის იყო, მოედნის გვერდითი ხაზი უნდა გადაელახა, უკან მოიხედა, ოდნავ შეყოვნდა, პირი ისევ მოედნისკენ იბრუნა, სამხრეთ ტრიბუნისკენ გაემართა, სადაც ზოგიერთი მისი თანაგუნდელი უკვე მისულიყო...

ფეხბურთელებმა მადლობაც უთხრეს თანადგომისთვის და ბოდიშიც მოუხადეს გაწბილებისთვის ფრანგ ფანებს, მთელი ტრიბუნა რომ დაეკავებინათ და ტაშს უკრავდნენ.

გუშინდელ ბრიფინგზე კი კიტ კუპერმა, ფიფას კომუნიკაციების დირექტორმა, გუშინ მოსკოვში მომხდარი არეულობები და დარბევები დაგმო. მე დავამატებ — მსგავსი ვანდალიზმი ქულებს ნამდვილად არ შემატებს 2008 წლისთვის ევროპის ჩემპიონატის რუსეთში ჩატარების პერსპექტივას.

და ისევ პოლიტიკა. იაპონია — რუსეთის მატჩს ამომავალი მზის ქვეყანაში რამდენიმე თვის მანძილზე განიხილავდნენ პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელებად, ერთგვარ რევანშად, ერისა და ქვეყნის ღირსების საქმედ. უშუალოდ მატჩის წინა დღეებში იაპონიისა და კორეის ტელევიზიით აჩვენებდნენ მეორე მსოფლიო ომის კადრებს, საბჭოთა ჯარისკაცებს, კურილიის კუნძულებს...

...როგორ შემეძლო არ მიმელო მიწვევა მეცქირა ბრაზილია — ჩინეთის მატჩისთვის პრეს-ცენტრში ბრაზილიის ტელევიზიის ოფისიდან, სადაც მხოლოდ მატჩის ტრანსლაციის ტექნიკური უზრუნველყოფა ხდებოდა — არეგულირებენ ხმას, გამოსახულებას, დიქტორები კი სეუგვიპოს სტადიონზე ისხდნენ. საინტერესო საყურებელი და მოსასმენი იყო როგორც დიქტორების, ისე ტექნიკური პერსონალის რეაქცია ამა თუ იმ მომენტზე — ხმის ტემბრი, ტემპერამენტი, ჟესტიკულაცია... და კიდევ ძალზე ბევრი კრიტიკა ლუიშ ფელიპე სკოლარისა.

„ეს ტრადიციული ამბავია, გუნდი წააგებს თუ მოიგებს, მწვრთნელს არასდროს ინდობენ“ — მეუბნება მასპინძელი. ყურადღება მივაქციე — როგორი სიყვარულითა და სიფაქიზით გამოხატავდნენ ორივე რონალდოს სახელებს, უფროსს „ფენომენალურ რონალდოს“, ხოლო პსჟ-ელს კი უბრალოდ რონალდინიოს უწოდებდნენ, თან წამდაუწუმ იმეორებდნენ, რომ „ფენომენალური“ მხოლოდ 50 პროცენტით არის მზად, სკოლარის კი ჰგონია, რომ მას ძალა შესწევს 70 წუთი სრული დატვირთვით ითამაშოს.

...სამხრეთ კორეის საერთაშორისო საჰაერო ჭიშკარი ექსპლოატაციაში შარშან შესული ინჩეუნის აეროპორტია, რომლის მგზავრთა წლიური გამტარუნარიანობა ერთ მილიონზე მეტია. ამ ქალაქის მართლაც რომ მშვენიერ, ერთიანად მწვანეში ჩაფლულ 50-ათასიან სტადიონზე კვირას მეტად პრინციპულ მატჩში ერთმანეთის პირისპირ თურქეთისა და კოსტა რიკის ნაკრებები წარსდგნენ.

მოგეხსენებათ, თუ რა აყოლტაყო მოჰყვა ჩვენი მეზობლების წინა მატჩს ბრაზილიასთან.

„სტადიონზე მისული კორეელების უმრავლესობა მხარს თურქებს დაუჭერს. ჩვენი თანამემამულის მსაჯობისას თურქები უსამართლოდ დაიჩაგრნენ“ — მეუბნება ჩემს გვერდით პრესლოჟაში მჯდომი კორეელი კოლეგა. მოგეხსენებათ, კორეელი არბიტრი ბავშვურად წამოეგო რივალდოს პროვოკაციას. მკვეთრი განცხადება გააკეთა თურქთა ფეხბურთის თავკაცმა, იმავდროულად ფიფას მაღალჩინოსანმა ჰალუკ ულუსოიმ. მან ისიც კი გაიხსენა, რომ წინა საუკუნის 50-იან წლებში, კორეის ომის დროს ბევრი თურქი დაიღუპა: „მაგრამ კორეელმა მარტოხელა კილერმა კიმმა (მატჩის არბიტრი) ერთბაშად 70 მილიონი თურქი მოკლა“ — აი, ასეთი შედარებაც კი უპრიანად ჩათვალა პრეზიდენტმა.

მოკლედ, მსოფლიოს ჩემპიონატი სენსაციებთან ერთად პოლიტიკითაც არის დატვირთული.



იყიდება სასწრაფოდ!
ლაზერული პრინტერი
LASERJET 5000N
ნახევარ მდგომარეობაში
ტელ. 38-11-14, 39-48-29
ფასი შეთანხმებით

## II ტურის სიმბოლური ნაკრები („სარბიელის“ ვერსია)

ეროვნული ბიბლიოთეკა




## ორი ტურის სტატისტიკა

ჩატარდა — 32 მატჩი, 22 მოგება, 10 ფრე

სულ გავიდა 81 გოლი, საშუალოდ მატჩში — 2.53

პირველ ტაიმში გავიდა 34 გოლი, მეორეში — 47

ყველაზე სწრაფი გოლი — ამერიკელი ჯონ ობრაიენი (მე-4 წუთზე, I ტურში პორტუგალიასთან), სამხრეთაფრიკელი სიაბონგა ნომვეტე (მე-4 წუთზე, II ტურში სლოვენიასთან)

ყველაზე შედეგიანი გუნდი — გერმანია (9 გოლი)

ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი — მიროსლავ კლოზე (გერმანია, 4 გოლი)

ყველაზე მეტჯერ კარისკენ დარტყმა — გერმანია (35)

ყველაზე მეტჯერ კარისკენ დარტყმა — პედრუ პაულეტა (პორტუგალია, 12)

ყველაზე მეტჯერ კარში დარტყმა — ბრაზილია (20)

ყველაზე მეტჯერ კარში დარტყმა — მიროსლავ კლოზე (გერმანია, 7), ბენი მაკკარტი (ს. აფრიკა, 7), რონალდო (ბრაზილია, 7)

ყველაზე ცოტა კარისკენ დარტყმა — ჩინეთი (13)

ყველაზე ნაკლებად კარში დარტყმა — სლოვენია (4)

ყველაზე უხეში მატჩი — იაპონია — რუსეთი (62 ჯარიმა)

ყველაზე უხეში გუნდი — იაპონია (60 ჯარიმა)

ყველაზე უხეში ფეხბურთელი — რუსლან პიმენოვი (რუსეთი, 15)

ყველაზე მეტჯერ ეუხეშნენ — ელ-ჰაჯი დიუფი (სენეგალი, 13)

ყველაზე კორექტული მატჩი — ბრაზილია — ჩინეთი (20 ჯარიმა)

ყველაზე კორექტული გუნდი — ჩინეთი (22 ჯარიმა)

დაფიქსირდა 5 წითელი ბარათი, აქედან პირველი ტურის ბრაზილია — თურქეთის მატჩში ერთბაშად 2 ფეხბურთელი (ალფაი ოზალანი და ჰაქან უნსალი) გააძევეს

არბიტრებმა 121-ჯერ გააფრთხილეს ფეხბურთელები

ყველაზე მეტი ყვითელი ბარათი — პირველი ტურის პარაგვაი — სამხრეთ აფრიკა (8)

მეორე ტურის გერმანია — ირლანდიის მატჩში მსაჯს არავინ გაუფრთხილებია

ყველაზე „ყვითელი“ გუნდი — ეკვადორი (8)

4 ავტოგოლი — (ესტანისლაო სტრუევაი, პარაგვაი; ჟორჟე კოშტა, პორტუგალია; ჯეფ აგოსი, აშშ; კარლეს პუიოლი, ესპანეთი)

პროცენტულად ყველაზე მეტჯერ ბურთს ფლობდა არგენტინა (65, ინგლისთან)

ყველაზე მეტი კუთხური — არგენტინა (20)

ყველაზე ნაკლები კუთხური — საუდეთი (2)

ყველაზე მეტჯერ, 13-ჯერ მოხვდა ხელოვნურ თამაშგარე მდგომარეობაში კოსტა რიკა

ყველაზე ნაკლებად, 1-ჯერ მოხვდა ხელოვნურ თამაშგარე მდგომარეობაში იაპონია

ჩემპიონატის ჯერ-ჯერობით რეკორდული შედეგი — გერმანია 8:0 საუდეთი

უგოლოდ დასრულდა მეორე ტურის საფრანგეთი — ურუგვაი

მერვედფინალში პირველად გავიდნენ — ესპანეთი და ბრაზილია

ჯგუფში ჩარჩნენ — ჩინეთი, ნიგერია, პოლონეთი, საუდეთი, სლოვენია



ხუთგოლიანი მიროსლავ კლოზე

## სადღეისო ვითარება

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 5 | მიროსლავ კლოზე | (გერმანია) |
| 4 | იონ დალ ტომასონი | (დანია) |
| 3 | კრისტიან ვიერი | (იტალია) |
| | პედრუ პაულეტა | (პორტუგალია) |
| | პაპე ბუბა დიოპი | (სენეგალი) |
| 2 | ჰენრიკ ლარსონი | (შვედეთი) |
| | ფერნანდო მორიენტესი | (ესპანეთი) |
| | ფერნანდო იერო | (ესპანეთი) |
| | რივალდო | (ბრაზილია) |
| | რონალდო | (ბრაზილია) |
| | იუნიჩი ინამოტო | (იაპონია) |
| | მარკ ვილმოტსი | (ბელგია) |
| | რობი კინი | (ირლანდია) |

### ავტოგოლი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ესტანისლაო სტრუევაი | (პარაგვაი) |
| | ჟორჟე კოშტა | (პორტუგალია) |
| | ჯეფ აგოსი | (აშშ) |
| | კარლეს პუიოლი | (ესპანეთი) |

### წითელი ბარათი

1 — ბორის ჟივკოვიჩი (ხორვატია)
ალფაი ოზალანი (თურქეთი)
ჰაქან უნსალი (თურქეთი)
სალიფ დიაო (სენეგალი)
ტიერი ანრი (საფრანგეთი)
კარსტენ რამელო (გერმანია)
პატრიკ სუფო (კამერუნი)

## მსოფლიოს ჩემპიონატის დღიური 11 ივნისი

გია ახვლედიანი

# ჩემოდნები, ჩემოდნები გადათვალეთ!




REUTERS ინტერპრესნიუსი

მშვიდობით, საფრანგეთო: დანიელებმა ფრანგებს დამარცხება არ აკმარეს, დასცინიან კიდეც

„მე არ ვაპირებ ჩემოდნის ჩალაგებას", თქვა გუშინ საღამოს არიელ ორტეგამ.

„აირ ფრანსის" თვითმფრინავი კი მზადაა. მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ეყოლება. ადვილი შესაძლებელია, ახალი ჩემპიონი ძველი ჩემპიონი იყოს, მაგრამ სახმაურო სხვაა: დამთავრდა დიდი საფრანგეთის ღროება.

ეს ღროება დამთავრდა იმიტომ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ისეთი რამ ბრძანდება, რომ წარმატებისთვის მოითხოვს ახალ სახელებს და ახალ საფეხბურთო იდეებს. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს კი არც ერთი აღმოაჩნდათ არც მეორე.

რა თქმა უნდა, სისულელეა იმის თქმა, რომ ზინედინ ზიდანის ტრავმამ გადაწყვიტა ფრანგთა ბედი. ზიდანის ტრავმა მნიშვნელოვანი დანაკლისი იყო, მაგრამ უაზრობაა ამხელა ტიტულების მპყრობელ გუნდს ერთი ფეხბურთელის არყოფნამ ასეთი დაღი დაასვას.

ფრანგებმა გოლი ვერ გაიტანეს სამ თამაშში.

მე თუ მკითხავთ, ფრანგებს დიდი ხანია არ უთამაშიათ ნამდვილი ფეხბურთი. რვა წელიწადში მათ ცამეტი საბრძოლო მატჩი და ერთი იოლი შესარჩევი ტურნირი გამართეს როგორც ნაკრებმა და ორი უდიდესი ტიტული მოიგეს მაგრამ ნამდვილი ბრძოლის გემო, როგორც გუნდს გადაავიწყდათ. კარგა ხანია, რაც საფრანგეთი ყველასთვის ნაცნობი გუნდია. ასეთმა კი, რაღაც ახალი უნდა შესთავაზოს მეტოქეს. ცხადია, ვიბრძოლო სისე არ არის სიახლე. მსოფლიო ჩემპიონი გოლის გარეშე მიემგზავრება შინ. 1966 წლის შემდეგ ტიტულის დამცველი გუნდი ჯგუფში არ ჩარჩენილა.

გასაგებია და თვალში საცემი, რომ დიდ ჩემპიონატებში მონაწილე ფეხბურთელები დაღლილნი ჩანან ამ ტურნირზე და ფრანგებსაც აკლდათ სისწრაფე და ცინცხალი ფეხბურთელი, მაგრამ ასევე სადღაც გამქრალიყო მათი ერთ-ერთი ყველაზე განთქმული თვისებაც, საკუთარი ძალების რწმენა და საჩემპიონო აპლომბი.

ფრანგთა მიერ დარტყმული ბურთი ძალიან ხშირად ხვდებოდა ძელს. ესეც განწირულობის ერთ-ერთი ნიშანია. ზიდანის ტრავმა მეორე ნიშანი გახდათ, ცენტრალურ მცველთა სიბერე, მიკუს, დუგარის და ჯორკაეფის ჩვეულებრივობა, სხვა ნიშნები. ის, რომ ტიერი ანრი თებერვლიდან ფორმაში არაა და „არსენალსაც" დიდით არაფრით შეწევნია, კიდევ ერთი ნიშანი. ყოველივე ამას კი, ის შტამპები უნდა დავუმატოთ, თავისთავად კარგ მწვრთნელს, როჟე ლემერს რომ ჩამოუყალიბდა დროთა განმავლობაში. „ნუ დააბრალებთ ყველაფერს ერთ კაცს", თქვა ფრანგთა კაპიტანმა მარსელ დესაიმ. „არ შეიძლება ასეთი რამ მხოლოდ მწვრთნელს დაბრალდეს. ჩვენ ყველანი ერთად, უვარგისნი ვიყავით".

მართლაც ასეა. მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ ფეხბურთის დიდი რომანტიკოსის, ლუის მენოტის სიტყვებს: „მსოფლიოს ჩემპიონატებს არ იგებენ მწვრთნელები. მსოფლიოს ჩემპიონატებს ფეხბურთელები იგებენ".

ლემერი ალბათ განწირული იყო, რადგან ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გაკვალულ, ნაჩვევ გზას გაჰყვა და სიახლეზე არ უფიქრია. ერთ დროს ყველანი ფრენდნენ. ზაფხულის პირზე კი მას ხელში შერჩა არცთუ მხნე ფეხბურთელები, რომელთაგან ერთი გოლიც კი ვერ გამოდნა სამ შეხვედრაში.

მწარე, მაგრამ ნაღდია როჟე ლემერის სიტყვები: „ის უნდა ვთქვათ, რაც სიმართლეა. ჩვენ არ ვიყავით მზად ამ მსოფლიოს თასისთვის და არ ვიმსახურებდით ჯგუფიდან გასვლას".

დანიელებთან ერთად მერვედფინალში გავიდნენ სენეგალელებიც, რომლებსაც ურუგვაელებთან შეხვედრაში აფრიკული სენი გამოაჩნდათ. სენეგალელებმა ორი თამაში ისე ირბინეს, რომ ამ განთქმული აფრიკული სენის არსებობაც კი გადაგვავიწყეს, მაგრამ აჰა, დადგა საჭირო წამი და ბრუნო მეტიუს შეგირდებმა აფრიკულ გუნდთათვის ჩვეული დაღლა და დარღუბალა რამეები გამოამჟღავნეს. ახი კი იყო, ეს თამაში ურუგვაელებს მოეგოთ. მაგრამ ურუგვაი ხომ ვერასდროს ვერაფერს იგებს, ბოლოს მგონი, საბჭოთა კავშირს მოუგო 1970 წელს და ისიც მოედნის ფარგლებს გარედან შემოტანილი ბურთით.

ასეა, როცა აფრიკული გუნდი მართლა დიდ გამარჯვებას მიადგება ხოლმე, რაღაც ემართება. ამას გამოცდილების სიმწირეს არქმევენ და ეგებ ესეც ფაქტორი იყოს, მაგრამ ასე აგებს ხოლმე კამერუნი ინგლისთან და ნიგერია იტალიასთანა. რა თქმა უნდა, სენეგალ — ურუგვაი ამ გაქანების მატჩი არ იყო, მაგრამ ეს ხომ სინამდვილეში საპლეიოფო შეხვედრა გახლდათ. ორივე მეტოქის კარში მოგონილი პენალტები დაინიშნა, ანუ ფეხბურთელებმა ბრწყინვალედ ისიმულიანტეს, თუმცა ეს ისტორიული დღეა სენეგალელთათვის, რომლებიც პირველად მოხვდნენ მსოფლიოს ჩემპიონატზე და მერვედფინალშიც გაძვრნენ. ეს ჰგავს იმას, რაც ნიგერიამ მოახდინა რვა წლის წინათ და კამერუნმა თორმეტი წლის წინ. დალალებიანი მეტიუ ამბობს: „ეს ფანტასტიკაა".

უბრალოდ ამბობს, მაგრამ ალალად. და ეს არ არის ფანტასტიკა.

ნიგერიამ და კამერუნმა კი ქუდები დაიხურეს — მათ ძალიან უჭირდათ გოლების გატანა და მხოლოდ ჯანით ვერაფერს გახდნენ. რუდი ფიოლერი კი ძალიან ღელავს და ძალიან რთულად მიიწევს წინ.

დღის გმირები მსაჯები იყვნენ, ანტონიო ლოპეს ნიეტო და იან ვეგერეფი წინასაარჩევო ბულეტენებივით არიგებდნენ ყვითელ ბარათებს, რაც მეოთხედფინალში გასულებს წინ დაუხვდებათ. ამდენი ყვითელი მთელს ჩემპიონატს ეყოფოდა. ვის სჭირდებოდა ამდენი ბარათი, ძნელი სათქმელია, ლოპეს ნიეტომ არგენტინული პესოსავით გააუფასურა ყვითლები და წითლების თაღარიგიც ადრიდანვე დაიჭირა. მსაჯია და გუნება. ზოგიერთი მსაჯი თავისი სიმშვიდისთვის რას არ მოიმოქმედებს.

მე კი გირჩევთ, ყურადღება მიაქციოთ დინჯ და კულტურულ, მოხერხებულ და განათლებულ დანიის ნაკრებს. ამასწინათ ვიღაცამ იხუმრა, დანიელთა შორის რომელიმე ლაუდრუპი რომ თამაშობდეს, ეს გუნდი უკვე ნახევარფინალში იქნებოდაო. დანიას რომ ბევრის წახდენა შეუძლია, ბევრი სალაპარაკო არ არის, თუმცა მისი მომავალი მეტოქე დღეს ირკვევა და რომ გაირკვევა განსჯას მერე მოვყვეთ.

რთული ამბები მოვიდა იტალიელთა ბანაკიდან ლუიჯი დი ბიაჯო, ალბათ, ნახევარფინალამდე ვერ იქნება მზად, თუ, რა თქმა უნდა „აძური" იქამდე მიაღწევს. ალესანდრო ნესტა ლოცულობს, რომ მექსიკელთა წინააღმდეგ თამაში შეძლოს, გუშინ კი არ ვარჯიშიათ პაოლო მალდინის, კრისტიან ძანეტის და კრისტიან პანუჩის. ცხადია, ბევრის აქმე აქვს ჯოვანი ტრაპატონის ექიმ ანდრეა ფორეტის, ისევე როგორც მის ბრაზილიელ კოლეგა ჟუზე ლუიშ რონკოს, რომელიც ასევე ოთხ ფეხბურთელს დასტრიალებს თავს, თუმც, როგორც ამბობს, ტრავმები, მათ შორის რობერტო კარლოსისა, სერიოზული არ არის.

ამ დილამდე ჩაგმანული იყო არგენტინელთა ბანაკის კარი ჯეი-ვილიჯშიც მარსელო ბიელსა საგულდაგულოდ მალავდა სადღეისო შემადგენლობას, განწირულ ნიგერიის ნაკრებში კი აჯანყდა ტარიბო ვესტი: „ჩემისთანა ფეხბურთელისთვის ძალიან ძნელია ამ ნაკრებში თამაში. ნამდვილი ფეხბურთელისთვის აქ თამაში შეუძლებელია, ჯეი-ჯეისთვის, ჩემთვის ამ ადამიანებთან ერთად მინდორზე ყოფნა აუტანელია. შენ იბრძვი, სამშობლოსთვის თამაშობ, ვიღაცეები კი, ვითომ ფეხბურთებელი, თავის ჭკუაზე აგორავებენ ბურთს. ამ ჩვენს გუნდში ნარკომანებიც მრავლად არიან. მე მწვრთნელს არ ვაბრალებ. ფედერაციამ რაღაც უნდა ილონოს. მე ვყოფილვარ ჩემპიონი და ყოველთვის ალალად ვიბრძვი. ამათ ამ განცდისა არაფერი გაეგებათ".

ეჰ, საბრალო ტარიბო ვესტი. მართლაც ძნელია იმ ადამიანების მხარდამხარ თამაში, ვისაც გუნდი, მოგება და წაგება არ აინტერესებს და თავის კაი ბიჭობას აწვება.

ერთი კაი ბიჭი კი დევიდ ბექჰემმაც გაიხსენა ამ დღეებში: „ნაკრებში რომ მიმიწვიეს პირველად, დაბნეული და დამფრთხალი ვიყავი. იქ ბევრი ვარსკვლავი დამიხვდა. იმათ შორის ყველაზე დიდი პოლ გესქოინი იყო. მან როგორც ყმაწვილს, ძმობა გამიწია და ყველაფერში მხარში მედგა. შინაურად მაქცია გუნდში. ყოველთვის მახსოვდა ეს და ახლა მეც ვიგრძენი, რომ გამოცდილი კაცი ვარ. ამიტომ, ვცდილობ, ახალწვეულებს ისე მოვექცე, როგორც გაზა მექცეოდა მე, ოცი წლის ბიჭს. აქედან ვუთვლი ხმამაღალ მადლობას".

გაზა კი ლონდონშია, აიტივის ტელეარხზე კომენტატორადაა მიწვეული და სეირიც მაშინ იწყება, როცა თამაშის შემდეგ კომენტარის გაკეთებას წამოიწყებს.

იქაურ გაზეთებს თუ ვერწმუნებით, გაზა ვერ ახერხებს რიგი გვარების, ვთქვათ ნიკი ბათის სწორად წარმოთქმას, პირველივე დღეს კი საქვეყნოდ აღიარა, რომ საერთოდ არ იცის არათუ ის, თუ რომელ კონტინენტზეა სენეგალი, არამედ სენეგალის არსებობის ამბავიც კი.

მოკლედ, გაზას რა შეცვლის, იცვლებიან მხოლოდ ჩემპიონები.





REUTERS ინტერპრესნიუსი

## საგანგებო ლოზუნგი

# დავეწიოთ და გავუსწროთ საფრანგეთს!

# დინამო და ტორპედო დანათესავდნენ

## თბილისში მონათლული შტელინი ქუთაისში დაინიშნა

**საქართველოს** სამგზის ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო" ახალ მწვრთნელს, 49 წლის, უკრაინელ ალექსანდრ შტელინს ჩააბარეს.

ეს ამბავი გუშინ გადაწყდა. „ტორპედოს" ხელმძღვანელებმა და ამჟამად ბელგიაში მცხოვრებმა მწვრთნელმა საბოლოოდ მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ, რომ შტელინი ქუთაისელებს მომავალი სეზონის ბოლომდე უთავკაცებს.

„როცა რევაზ ძოძუაშვილმა „ტორპედო" დატოვა მაშინვე ალექსანდრ შტელინი გაგვახსენდა და დავუკავშირდით. მოლაპარაკება დღემდე გაგრძელდა და ახლა უკვე შემიძლია ვთქვა, რომ შტელინი „ტორპედოს" მწვრთნელია. ის გუნდში მომავალი სეზონის ბოლომდე დარჩება, მერე კი ვნახოთ, თუ მისი მუშაობა დაგვაკმაყოფილებს, კონტრაქტსაც გავუგრძელებთ. ჩემპიონთა ლიგის გათამაშებისთვისაც, რა თქმა უნდა, „ტორპედოს" შტელინი მოამზადებს" — გვითხრა გუშინ ჩემპიონთა პრეზიდენტმა ზურაბ ხინიკაძემ, როცა მოსკოვში დავუკავშირდით.

ალექსანდრ შტელინისთვის „ტორპედო" უცხო გუნდი არ არის. ის ცნობილი დავით ყიფიანისა და ქუთაისელთა გენერალური მენეჯერის ვლადიმერ გუცაევის მიწვევით „ტორპედოში" 2000 წლის შემოდგომიდან რამდენიმე თვე მუშაობდა და მწვრთნელს გუნდის ფიზიკურ მომზადებაში ეხმარებოდა. შტელინი საქართველოში უფრო ადრეც ყოფილა. იმავ ყიფიანმა და გუცაევმა 1989 წელს თბილისის „დინამოში" დამხმარე მწვრთნელად ჩამოიყვანეს, თუმც ოთხი თვის შემდეგ შტელინი უკანვე გაბრუნდა — მაშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია საბჭოთა კავშირისას გამოეყო. 1991 წელს ალექსანდრ შტელინი ტუნისში გადაბარგდა და იქაურ „მონასტერსა" და „ეტუალს" წვრთნიდა.

მერე შტელინისთვის იყო ბელგია, პროვინციული „მონტენეი" და მეორედივიზიონელი „ლიეჟი". ქუთაისელთა ამჟამინდელ მწვრთნელს ტირასპოლის „ტილიგულში", კიევის ცსკა-სა და ზაპოროჟიეს „მეტალურგშიც" უმუშავია. შტელინი კიევის „დინამოს" სამეცნიერო ჯგუფის წევრი გახლდათ, მას მწვრთნელობის 23-წლიანი სტაჟი აქვს, საიდანაც 5 წელი ვალერი ლობანოვსკისთან გაუტარებია.

როგორც ვთქვით, ალექსანდრ შტელინი ახლა ბელგიაში ცხოვრობს. იქაური მეუღლე ჰყავს, ფეხბურთელი შვილი და უკრაინაში მცხოვრები ორი შვილი.

„შტელინი საკმაოდ გამოცდილი, მცოდნე მწვრთნელია. მისი იმედი გვაქვს. „ტორპედო" მის ხელში უფრო მოღონიერდება. ქუთაისში ის უახლოეს დღეებში ჩავა და იმისაც გადავწყვეტთ, გუნდს რომელი ფეხბურთელი დატოვებს და ვინ შეემატება" — ესეც ზურაბ ხინიკაძემ გვითხრა.

თავად ალექსანდრ შტელინთან დაკავშირება ჯერ ვერ მოვახერხეთ, თუმც კი მის ჩამოსვლამდე წელიწადნახევრის წინ „სარბიელისთვის" ნათქვამ მისსავე სიტყვებს გაგახსენებთ: „ჩემი, როგორც მწვრთნელ-პრაქტიკოსის ნათლობა სწორედ თბილისში შედგა. მაშინ გუნდში თემურ ქეცბაია, გელა კეტაშვილი, კახი ცხადაძე, ახრიკ ცვეიბა, გია გურული და ბევრი სხვა კარგი ფეხბურთელი თამაშობდა. დარწმუნებული ვარ, ტალანტების ნაკლებობა არც ახლა იქნება ქართულ ფეხბურთში. მთავარია თამაში განვითარების სწორ გზას დაადგეს. მერე შედეგებიც იქნება და იცით რამ გამაკვირვა?! იმან, რომ ქართველებს ტექნიკურად და ლამაზად თამაში არ დავიწყნიათ".

ესეც მესამე უცხოელი საქართველოში. ჯანი კარნევალისა და ივო შუშაკს ალექსანდრ შტელინი შეემატა.

**კობა ინასარიძე**

# დილა გორში და მთაში

**უმაღლეს ლიგაში** მობრუნებული გორის „დილა" საახალსეზონოდ მზადებას 16 ივნისიდან შეუდგება. მეცამეტე ეროვნულში პირველი ლიგის მეორეადგილოსანი უმაღლესში გაუძლიერებლად ვერას გავხდებითო და გორელები ახალი მოთამაშეების გადაბირებას ცდილობენ. თუმც სადღეისოდ მხოლოდ ერთი ფეხბურთელი შეიგულეს.

ფორვარდი დავით ეჯოშვილი „დილაში" უცხო კაცად ნამდვილად ვერ ჩაითვლება. ის მეთორმეტე ეროვნულშიც თამაშობდა გუნდში და „დილასთან" ერთად გავარდა უმაღლესი ლიგიდან. მერე გორშივე მისამართი შეიცვალა და „ცხინვალს" შეეკედლა, რომლის რიგებშიც ერთ-ერთი შედეგიანი თავდამსხმელი იყო.

ეჯოშვილის გარდა „დილას" მესვეურები კიდევ ოთხ-ხუთ ფეხბურთელთან აწარმოებენ მოლაპარაკებას, თუმც კლუბის ხელმძღვანელები მათ ვინაობას ჯერჯერობით არ გვიმხელენ. სადღეისოდ მხოლოდ სურვილი გვაქვს, როცა მათი საკითხი საბოლოოდ გადაწყდება, მაშინ არაფერს დავმალავთო. „დილადან" წასვლის სურვილი კი ჯერჯერობით არც ერთ ფეხბურთელს არ გამოუთქვამს და, ალბათ, არც არავინ მოგვაკლდებაო, ეიმედებათ მწვრთნელ-ხელმძღვანელებს.

გორელები მზადებას მშობლიურ ქალაქში დაიწყებენ. 1 ივლისიდან კი მაღლა მთაში აინაცვლებენ და ორ კვირას სოფელ ბოშურში ივარჯიშებენ. ჩემპიონატის განახლებამდე კიდევ ერთი შეკრება დაგეგმილი, მაგრამ კონკრეტულ დროს და ადგილს მოგვიანებით შეარჩევენ.

**მამუკა კვანტალიანი**

### ნორვეგია

11 ტური: სოგნდალი — ლილესტრიომი 5:2; ოდდი გლიმტი — მოლდე 0:2; ბრანი — ლინი 1:1; ბრინი — სტარტი 3:1; ოდ გრენლანდი — ვიკინგი 2:0; სტაბეკი — როზენბორგი 0:0; ვოლერენგა — მოსი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლინი | 11 | 8 | 1 | 2 | 17:14 | 25 |
| მოლდე | 11 | 7 | 2 | 2 | 22:8 | 23 |
| ოდ გრენლანდი | 11 | 7 | 1 | 3 | 19:11 | 22 |
| სტაბეკი | 11 | 5 | 4 | 2 | 19:12 | 19 |
| როზენბორგი | 11 | 5 | 3 | 3 | 20:13 | 18 |
| ვიკინგი | 11 | 5 | 3 | 3 | 20:14 | 18 |
| ვოლერენგა | 11 | 4 | 4 | 3 | 15:11 | 16 |
| ბოდო გლიმტი | 11 | 4 | 2 | 5 | 16:14 | 14 |
| ლილესტრიომი | 11 | 3 | 4 | 4 | 11:13 | 13 |
| ბრინი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:19 | 11 |
| ბრანი | 11 | 3 | 2 | 6 | 14:22 | 11 |
| სოგნდალი | 11 | 2 | 2 | 7 | 15:25 | 8 |
| სტარტი | 11 | 1 | 4 | 6 | 9:20 | 7 |
| მოსი | 11 | 1 | 4 | 6 | 10:23 | 7 |

### ფინეთი

გადადებული მატჩი: ჰიკ — მიუპა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 10 | 5 | 4 | 1 | 18:9 | 19 |
| ჰაკა | 9 | 6 | 1 | 2 | 15:8 | 19 |
| ინტერი | 9 | 4 | 4 | 1 | 15:5 | 16 |
| ჰიკ | 9 | 4 | 3 | 2 | 15:12 | 15 |
| ალიანსი | 9 | 4 | 2 | 3 | 13:13 | 14 |
| ტამპერე | 9 | 2 | 6 | 1 | 8:7 | 12 |
| ვაასა | 9 | 2 | 4 | 3 | 9:10 | 10 |
| იარო | 9 | 2 | 3 | 4 | 9:14 | 9 |
| ჯაზი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:15 | 8 |
| ლაჰტი | 9 | 2 | 2 | 5 | 4:12 | 8 |
| ჰამენლინა | 9 | 1 | 4 | 4 | 8:11 | 7 |
| კუოპიო | 8 | 1 | 3 | 4 | 9:15 | 6 |



ტრაგიკული ამბავი მოსკოვიდან: 22 წლისა გარდაიცვალა თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი თორნიკე რუხაძე, ასევე ყოფილი დინამოელის ილია რუხაძის ვაჟი.

თორნიკე ბოლოხანს ვლადიკავკაზის „ალანიას" ღირსებას იცავდა, „დინამომდე" კი „ვიტ ჯორჯიაში", „თბილისში" და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც თამაშობდა. ზუსტად ერთ თვეში, 10 ივლისს, თორნიკე რუხაძეს 23 წელი შეუსრულდებოდა.

სარბიელელები თანავუგრძნობთ თორნიკე რუხაძის ოჯახსა და ახლობლებს.

# არსენალი ალპებში შტურმზე მიდის

## შენ აქ იმიტომ ხარ, რომ გვჭირდები!

## უთხრა ივიცა ოსიმმა დავით მუჯირს



*როცა „დინამოდან" მოლდოვურ „შერიფში" გადაბარგდა, ძირითადში ფეხის მოკიდება იქაც გაუჭირდა. თავიდან ვერცხლი და ვიცე-ჩემპიონობა იკმარა, თუმც მომდევნო ნელინადსავე დუბლი მიითვალა, მოლდოვაში კი საუკეთესოს სახელი დაიგდო.*

*მას შემდეგ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ოდინდელმა საუკეთესო ფეხბურთელმა ევროპისკენ გაიწია. დავით მუჯირმა ავსტრიულ „შტურმთან" ხუთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა და თითქოს ერთხელ ნაცნობი შედეგის განმეორებაც დაიწყო.*

*წლეულს მისი მონაგარი ავსტრიული ვერცხლია. დავით მუჯირმა ჯერჯერობით ვერ დაიმკვიდრა ადგილი „შტურმის" ძირითადში, თუმც წინ კიდევ ოთხი ნელინადია...*

— პირველი წრის შემდეგ კლუბში ყველა მიხვდა, რომ ჩემპიონის ტიტულს ვერ შევინარჩუნებდით. მწვრთნელი ივიცა ოსიმი მეორე ადგილზე გასვლას, ახალი გუნდის ჩამოყალიბებასა და შეთამაშებას ისახავდა მიზნად. ადვილად მისაღწევი არც ეს შედეგი იყო. 14 ახალი, სხვადასხვა ეროვნებისა და წარმოშობის ფეხბურთელი ერთმანეთთან შესაგუებლად დიდ დროს მოითხოვდა. ხელმძღვანელობისთვის მოულოდნელად თასის ფინალშიც კი გავედით, ისე ადვილად, რომ გადამწყვეტი მატჩი თანაქალაქელ „გრაცთან" წავაგეთ კიდეც.

**— მთელ ჩემპიონატში ჩატარებული 15 მატჩი დამაკმაყოფილებელ შედეგად ვერ ჩაითვლება. რა იყო თქვენი უთამაშებლობის მთავარი მიზეზი?**

— ავსტრიული ფეხბურთისა და მთლიანად ქვეყნის უჩვეულო და გამორჩეული წესი. „შტურმი" ძირითადად ლეგიონერებით დაკომპლექტებული გუნდია. მუშაობის უფლებას კი მხოლოდ 7 არაევროკავშირელს აძლევენ. ეს პრობლემა რომ გადაეჭრათ, კონგოელ მასუდს ავსტრიელი ქალი შერთეს ცოლად. სლოვენიელი პრეველი ფრანგთან დააქორწინეს, სლოვაკი პლინკა გაანათხოვრეს. მეკარე სიდორჩუკი 5 წელიწადია, ავსტრიაში თამაშობს და მოქალაქეობის მიღებამ დროულად მიუსწრო. ამათ გარდა მე, ორი გერმანელი, ესპანელი, უნგრელი, სლოვენელი და გალათასარაიდან უკან მობრუნებული სურდენი ფლერკინიც რიგრიგობით ვხვდებოდით მატჩის განაცხადში.

თამაშის ოქმში ჩაწერილ 18 ფეხბურთელს შორის 9 აუცილებლად ავსტრიელი უნდა ყოფილიყო. წესი ერთია ყველასთვის და, რა თქმა უნდა, ვერავინ დაარღვევს. თუმც ხშირად იყო შემთხვევა, რომ „შტურმის" საბაზო გუნდიდან მოუყვანიათ ახალგაზრდა ავსტრიელები და სათადარიგოებში გაუმწესებიათ, რათა ოქმში თანაფარდობა ცხრა ცხრაზე არ დარღვეულიყო. 16 ლეგიონერიდან შვიდს ავტომატურად ტრიბუნიდან უწევდა მატჩისთვის თვალყურის დევნება.

**— ხორვატი ვასტიჩი არ ყოფილა თქვენი სათადარიგოობის მიზეზი?**

— როგორ გითხრათ, ხშირად არა, რადგან „შტურმი" ხან ორი გამთამაშებლით თამაშობდა, ხანაც სამი თავდამსხმელით. საადაპტაციო პერიოდი და უცნაური წესები რომ არა, მოედანზე ხშირად ვიქნებოდი.

**— იქნებ თქვენთვის სხვა გუნდში გადასვლას უკეთესი პერსპექტივები მოეტანა?**

— ამის შესახებ მქონდა შეხვედრა კლუბის ხელმძღვანელებთან და მწვრთნელთან. მათგან კატეგორიული უარი მივიღე. იმიტომ გიყიდეთ, რომ გვჭირდება და ვერც გაგანათხოვრებთო. რა თქმა უნდა, მერჩივნა, ექვსი თვით ავსტრიაშივე, ოღონდ სხვა გუნდში მებურთავა, სათამაშო პრაქტიკა მეტი მექნებოდა, მაგრამ ისეთი პასუხი მივიღე, რომ მეორედ კლუბის თავკაცებთან შეხვედრა არც მომსურვებია.

ჩემთვის ერთადერთი პრობლემა მწირი სათამაშო დროა, თორემ ჩემს კონტრაქტს და ანაზღაურებას არაფერი ემუქრება. კლუბმა ხომ ნორმალური ვარჯიშისა და დასვენებისთვის ყველა პირობა შემიქმნა.

**— „შტურმის" თავკაცი ივიცა ოსიმი რა ხასიათის კაცია?**

— ფეხბურთში გამობრძმედილი სპეციალისტია. ფეხბურთელებთან ნორმალური, საქმიანი ურთიერთობა აქვს. სიტყვაძუნწია, ცოტას ლაპარაკობს და ბევრს აკეთებს. ავსტრიაში დიდად აფასებენ. ხისტი ფეხბურთის მოტრფიალეა, მისი გუნდი მობილურობით და ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევა. მუდამ სიახლის ძიებაშია და სათამაშო სქემასაც ხშირად ცვლის. დაცვის ხაზზე განლაგებას მოულოდნელად ლიბეროს ამჯობინებს, ორ გამთამაშებელზე და სამ ფორვარდზე უკვე მოგახსენეთ. ძირითადად მაინც ორი თავდამსხმელი ვთამაშობდით, მე კი ჩატარებული მატჩების უმეტესობაში ფორვარდად ვიყავი გამწესებული.

**— „შტურმში" ყოფილი საბჭოელებიც თამაშობდნენ. თუ არ ვცდები, იურანი თქვენი თანაგუნდელი იყო...**

— ჩათვალეთ, იურანმა კარიერა დაასრულა. ერთ-ერთ მატჩში მეკარეს თავით შეასკდა და პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს. ბედად რენტგენის სურათი გადაუღეს და ოპერაციაც მაშინვე გაუკეთეს. დღეს მას შუბლის ძვლის ნაცვლად მეტალი აქვს და ფეხბურთიც განზე დარჩა.

ცნობილი უკრაინელი მეკარე პერხუნი თუ გახსოვთ. „შერიფში" თანაგუნდელები ვიყავით და მოსკოველ არმიელებთან მერე გადავიდა. ზუსტად მსგავსი ტრავმა მიიღო, მაგრამ ექიმექმა დააგვიანეს და...

მამედოვიც იყო ჩვენთან, საწყისი თამაშებიც ჩინებულად ჩაატარა, მაგრამ მერე პასპორტთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა. ბერძნული თუ პორტუგალიური ყალბი პასპორტი აღმოუჩინეს და დისკვალიფიკაციასაც ვერ ასცდა. წლევანდელი ჩემპიონის „ტიროლის" კარში ჩერჩესოვი დგას, კიდევ ერთი ყოფილი სპარტაკელი რახიმოვიც ავსტრიაშია. სწორედ მან შესთავაზა ჩემი ვარიანტი „შტურმს", მერე დამაკვირდნენ, სინჯებიც გავიარე და...

**— ახალი ჩემპიონატისთვის მზადებას როდიდან იწყებთ?**

— 10 ივნისს, ხოლო 10 ივლისს ავსტრიის ჩემპიონატი იწყება. პირველობისთვის ჩვენთან ერთად „ტიროლი" და საახალსეზონოდ საკმაოდ მოძლიერებული „აუსტრია" იბრძოლებენ. ერთი კვირა გრაცში ვივარჯიშებთ, მერე ალპებში მოვემზადებით. გრაცში „რეალი" ჩამოდის. მადრიდელები ამხანაგურად „გრაცს" უნდა გაეჯიბრონ. ჩვენს თანაქალაქელს 100-წლიანი იუბილე აქვს, „რეალიც" ხომ 100 წლისაა და თამაშზე ამიტომ შეთანხმდნენ. „შტურმის" თავკაცებიც აწარმოებენ მოლაპარაკებებს და არ არის გამორიცხული, ჩემპიონთა ლიგის მომგებებს ჩვენც გავეჯიბროთ. ის კი გადაწყვეტილია, რომ ლონდონის „არსენალს" უნდა ვეთამაშოთ. არსენ ვენგერსაც ალპებში მოჰყავს გუნდი.

**— მსოფლიოს ჩემპიონატს ვინ მოიგებს?**

— იტალია. ყოველ შემთხვევაში, ძალიან მინდა იტალიელებმა მოიგონ. გუნდადაც ვარგობენ და ჩემპიონატის სისტემაც ყველანაირად უადვილებთ საქმეს. ხორვატიელებთან წაგება ტრაპატონის გუნდს ვერ დააბრკოლებს. იტალიის თამაშში ჯერაც აუმოქმედებელი რეზერვები შეინიშნება.

**მამუკა კვანტალიანი**

საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გუნდის ყოფილი ფეხბურთელი
თორნიკე რუხაძე
და იზიარებს ოჯახის მწუხარებას.

საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო" თანაუგრძნობს ყოფილ დინამოელ ილია რუხაძეს შვილის
თორნიკე რუხაძის
გარდაცვალების გამო.

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ფინეთი. მე-10 ტური | | | | | | |
| | | 13 ივნისი | | | | | | |
| 20.30 | 050 | ალიანსი-იარო | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 20.30 | 051 | ჰამეენლინა-კუოპიო | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 20.30 | 052 | ინტერი-ჰაკა | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 20.30 | 053 | ლაჰტი-ვაასი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 20.30 | 054 | მიუპა-ტამპერე | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 20.30 | 055 | ვაასა-ჰიკ | 3,3 | 3,2 | 2,0 | 1,6 | 1,2 | 1,2 |
| | | კალათბურთი | | | | | | |
| | | 12 ივნისი | | | | | | |
| 06.00 | 515 | ნიუ ჯერსი-ლეიკერსი | 1,9 | 12,0 | 1,55 | | | |
| | | ჰოკეი | | | | | | |
| | | 13 ივნისი | | | | | | |
| 05.00 | 522 | დეტროიტი-კაროლინა | 1,5 | 4,0 | 4,4 | | | |
| | | მსოფლიოს ჩემპიონატი. პირველი ეტაპი | | | | | | |
| | | 12 ივნისი | | | | | | |
| 11.30 | 137 | შვედეთი-არგენტინა | 6,5 | 3,3 | 1,55 | 2,15 | 1,2 | 1 |
| 11.30 | 138 | ნიგერია-ინგლისი | 7,5 | 3,3 | 1,5 | 2,25 | 1,2 | 1 |
| 16.30 | 139 | ს.აფრიკა-ესპანეთი | 8,0 | 2,7 | 1,6 | 2 | 1,3 | 1 |
| 16.30 | 140 | სლოვენია-პარაგვაი | 6,5 | 3,8 | 1,45 | 2,3 | 1,15 | 1 |
| | | 13 ივნისი | | | | | | |
| 11.30 | 141 | კოსტა რიკა-ბრაზილია | 9,0 | 2,7 | 1,5 | 2,05 | 1,25 | 1 |
| 11.30 | 142 | თურქეთი-ჩინეთი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 16.30 | 143 | მექსიკა-იტალია | 7,5 | 3,5 | 1,45 | 2,35 | 1,2 | 1 |
| 16.30 | 144 | ეკვადორი-ხორვატია | 5,6 | 3,8 | 1,5 | 2,25 | 1,15 | 1,05 |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 11.30 | 145 | ტუნისი-იაპონია | 6,0 | 3,2 | 1,6 | 2,05 | 1,25 | 1,05 |
| 11.30 | 146 | ბელგია-რუსეთი | 2,9 | 2,9 | 2,4 | 1,4 | 1,3 | 1,3 |
| 16.30 | 147 | პორტუგალია-კორეა | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| 16.30 | 148 | პოლონეთი-აშშ | 4,2 | 2,9 | 1,9 | 1,7 | 1,3 | 1,1 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ივნისი | | | |
| 11.30 | 1037 | შვედეთი-არგენტინა | 6,0 | 2,2 | 1,95 |
| 11.30 | 1038 | ნიგერია-ინგლისი | 6,5 | 2,2 | 1,9 |
| 16.30 | 1039 | ს.აფრიკა-ესპანეთი | 6,5 | 2,1 | 2,0 |
| 16.30 | 1040 | სლოვენია-პარაგვაი | 6,5 | 2,3 | 1,8 |
| | | 13 ივნისი | | | |
| 11.30 | 1041 | კოსტა რიკა-ბრაზილია | 6,5 | 2,2 | 1,85 |
| 11.30 | 1042 | თურქეთი-ჩინეთი | 1,5 | 2,8 | 8,0 |
| 16.30 | 1043 | მექსიკა-იტალია | 6,5 | 2,3 | 1,8 |
| 16.30 | 1044 | ეკვადორი-ხორვატია | 5,6 | 2,3 | 1,85 |
| | | 14 ივნისი | | | |
| 11.30 | 1045 | ტუნისი-იაპონია | 6,5 | 2,1 | 2,0 |
| 11.30 | 1046 | ბელგია-რუსეთი | 3,3 | 2,1 | 2,8 |
| 16.30 | 1047 | პორტუგალია-კორეა | 2,3 | 2,1 | 4,4 |
| 16.30 | 1048 | პოლონეთი-აშშ | 3,6 | 2,1 | 2,5 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ივნისი | | | |
| 11.30 | 2937 | შვედეთი-არგენტინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 11.30 | 2938 | ნიგერია-ინგლისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2939 | ს.აფრიკა-ესპანეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2940 | სლოვენია-პარაგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 13 ივნისი | | | |
| 11.30 | 2941 | კოსტა რიკა-ბრაზილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 11.30 | 2942 | თურქეთი-ჩინეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2943 | მექსიკა-იტალია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2944 | ეკვადორი-ხორვატია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 14 ივნისი | | | |
| 11.30 | 2945 | ტუნისი-იაპონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 11.30 | 2946 | ბელგია-რუსეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2947 | პორტუგალია-კორეა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2948 | პოლონეთი-აშშ | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რა ეტაპზე გავა გუნდი

| | ჯგუფში დარჩება | | 1/8 ფინალი | | ჩემპიონი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3101 | 1,8 | 3201 | 1,4 | 3601 | 5,0 |
| ბრაზილია | 3102 | 1,0 | 3202 | 1,0 | 3602 | 3,5 |
| იტალია | 3103 | 1,7 | 3203 | 1,4 | 3603 | 4,0 |
| ინგლისი | 3105 | 1,0 | 3205 | 1,0 | 3605 | 5,0 |
| გერმანია | 3106 | 1,0 | 3206 | 1,0 | 3606 | 8,0 |
| ესპანეთი | 3107 | 8,0 | 3207 | 1,01 | 3607 | 6,0 |
| პორტუგალია | 3108 | 1,5 | 3208 | 1,6 | 3608 | 15,0 |
| პარაგვაი | 3111 | 1,1 | 3211 | 1,6 | 3611 | 75,0 |
| შვედეთი | 3112 | 1,6 | 3212 | 1,7 | 3612 | 40,0 |
| რუსეთი | 3113 | 2,1 | 3213 | 1,25 | 3613 | 75,0 |
| ირლანდია | 3116 | 1,0 | 3216 | 1,0 | 3616 | 40,0 |
| ხორვატია | 3117 | 1,5 | 3217 | 1,45 | 3617 | 50,0 |
| ბელგია | 3118 | 1,25 | 3218 | 2,1 | 3618 | 50,0 |
| დანია | 3119 | 1,0 | 3219 | 1,0 | 3619 | 40,0 |
| იაპონია | 3120 | 4,4 | 3220 | 1,01 | 3620 | 40,0 |
| მექსიკა | 3121 | 1,5 | 3221 | 1,2 | 3621 | 50,0 |
| თურქეთი | 3122 | 1,1 | 3222 | 1,45 | 3622 | 75,0 |
| ს.აფრიკა | 3123 | 1,5 | 3223 | 1,05 | 3623 | 100,0 |
| ეკვადორი | 3124 | 1,01 | 3224 | 6,0 | 3624 | 999,0 |
| კორეა | 3126 | 1,7 | 3226 | 1,35 | 3626 | 50,0 |
| აშშ | 3127 | 3,0 | 3227 | 1,05 | 3627 | 50,0 |
| სენეგალი | 3128 | 1,0 | 3228 | 1,0 | 3628 | 40,0 |
| კოსტა რიკა | 3129 | 1,4 | 3229 | 1,1 | 3629 | 150,0 |
| ტუნისი | 3130 | 1,01 | 3230 | 4,4 | 3630 | 500,0 |

## რომელი ჯგუფის გუნდი გახდება ჩემპიონი

**12 ივნისი. 11.30. 3701**

A ---------- 7,0
B ---------- 5,5
C ---------- 3,6
D ---------- 8,0
E ---------- 6,0
F ---------- 3,0
G ---------- 3,8
H ---------- 10,0

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ივნისი | | | | | | | | | |
| 11.30 | 1137 | შვედეთი-არგენტინა | 10,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 | 3,1 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 11.30 | 1138 | ნიგერია-ინგლისი | 12,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 4,7 | 3,0 | 25,0 | 12,0 | 2,1 |
| 16.30 | 1139 | ს.აფრიკა-ესპანეთი | 12,0 | 8,0 | 25,0 | 15,0 | 4,0 | 3,1 | 25,0 | 8,0 | 2,2 |
| 16.30 | 1140 | სლოვენია-პარაგვაი | 10,0 | 10,0 | 20,0 | 12,0 | 5,0 | 3,0 | 20,0 | 10,0 | 2,0 |
| | | 13 ივნისი | | | | | | | | | |
| 11.30 | 1141 | კოსტა რიკა-ბრაზილია | 15,0 | 8,0 | 30,0 | 15,0 | 4,2 | 3,0 | 30,0 | 8,0 | 2,0 |
| 11.30 | 1142 | თურქეთი-ჩინეთი | 1,5 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,0 | 15,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 13 ივნისი | | | | | | | | | |
| 16.30 | 1143 | მექსიკა-იტალია | 12,0 | 10,0 | 20,0 | 12,0 | 4,7 | 3,0 | 20,0 | 10,0 | 2,0 |
| 16.30 | 1144 | ეკვადორი-ხორვატია | 9,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 | 3,0 | 20,0 | 10,0 | 2,0 |
| | | 14 ივნისი | | | | | | | | | |
| 11.30 | 1145 | ტუნისი-იაპონია | 8,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 | 3,2 | 25,0 | 12,0 | 2,2 |
| 11.30 | 1146 | ბელგია-რუსეთი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 16.30 | 1147 | პორტუგალია-კორეა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 16.30 | 1148 | პოლონეთი-აშშ | 6,0 | 8,0 | 20,0 | 7,0 | 4,0 | 3,6 | 20,0 | 8,0 | 3,0 |


# გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო ახალციხე. ნათენაძის №7

# მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში

# კროკო

ყოველდღიურად (ორშაბათის ჩათვლით) იმუშავებს

**სამუშაო საათები 9$^{00}$ — 19$^{00}$**

მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟების (ერთდროულად დანიშნული შეხვედრების შემთხვევაში, ორივე მატჩის პარალელურად) ნახვა და მოგებული თანხის თამაშის დამთავრებისთანავე მიღება შეგეძლებათ

# ნებისმიერ ბიუროში


## რამდენი გოლი გავა მატჩში (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | 2,5-ზე ნაკლები | 2,5-ზე მეტი |
|---|---|---|---|---|
| | | 12 ივნისი | | |
| 11.30 | 2037 | შვედეთი-არგენტინა | 1,75 | 1,75 |
| 11.30 | 2038 | ნიგერია-ინგლისი | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2039 | ს.აფრიკა-ესპანეთი | 1,7 | 1,8 |
| 16.30 | 2040 | სლოვენია-პარაგვაი | 1,75 | 1,75 |
| | | 13 ივნისი | | |
| 11.30 | 2041 | კოსტა რიკა-ბრაზილია | 1,75 | 1,75 |
| 11.30 | 2042 | თურქეთი-ჩინეთი | 1,9 | 1,6 |
| 16.30 | 2043 | მექსიკა-იტალია | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2044 | ეკვადორი-ხორვატია | 1,85 | 1,65 |
| | | 14 ივნისი | | |
| 11.30 | 2045 | ტუნისი-იაპონია | 1,75 | 1,75 |
| 11.30 | 2046 | ბელგია-რუსეთი | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2047 | პორტუგალია-კორეა | 1,85 | 1,65 |
| 16.30 | 2048 | პოლონეთი-აშშ | 1,8 | 1,7 |

## რომელი კონტინენტის ქვეყანა გახდება ჩემპიონი

**12 ივნისი. 11.30. 3801**

ევროპა ---------- 1,4
ამერიკა ---------- 2,2
აფრიკა ---------- 25,0
აზია ---------- 30,0

## რამდენ მატჩში დაინიშნება პენალტების სერია

**15 ივნისი 11.30. 2401**

0-2 ---------- 2,2
3-4 ---------- 1,9
5 ან მეტი ---------- 3,3

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| **12 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2137 | შვედეთი-არგენტინა | 1,7 | 1,8 |
| 11.30 | 2138 | ნიგერია-ინგლისი | 1,65 | 1,85 |
| 16.30 | 2139 | ს.აფრიკა-ესპანეთი | 1,6 | 1,9 |
| 16.30 | 2140 | სლოვენია-პარაგვაი | 1,65 | 1,85 |
| **13 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2141 | კოსტა რიკა-ბრაზილია | 1,75 | 1,75 |
| 11.30 | 2142 | თურქეთი-ჩინეთი | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2143 | მექსიკა-იტალია | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2144 | ეკვადორი-ხორვატია | 1,75 | 1,75 |
| **14 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2145 | ტუნისი-იაპონია | 1,85 | 1,65 |
| 11.30 | 2146 | ბელგია-რუსეთი | 1,65 | 1,85 |
| 16.30 | 2147 | პორტუგალია-კორეა | 1,65 | 1,85 |
| 16.30 | 2148 | პოლონეთი-აშშ | 1,7 | 1,8 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

**(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **12 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2237 | შვედეთი-არგენტინა | 3,4 | 1,3 |
| 11.30 | 2238 | ნიგერია-ინგლისი | 3,4 | 1,3 |
| 16.30 | 2239 | ს.აფრიკა-ესპანეთი | 3,4 | 1,3 |
| 16.30 | 2240 | სლოვენია-პარაგვაი | 3,4 | 1,3 |
| **13 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2241 | კოსტა რიკა-ბრაზილია | 3,4 | 1,3 |
| 11.30 | 2242 | თურქეთი-ჩინეთი | 1,2 | 4,2 |
| 16.30 | 2243 | მექსიკა-იტალია | 3,4 | 1.3 |
| 16.30 | 2244 | ეკვადორი-ხორვატია | 3,2 | 1,35 |
| **14 ივნისი** | | | | |
| 11.30 | 2245 | ტუნისი-იაპონია | 3,4 | 1,3 |
| 11.30 | 2246 | ბელგია-რუსეთი | 1,8 | 2,0 |
| 16.30 | 2247 | პორტუგალია-კორეა | 1,65 | 2,3 |
| 16.30 | 2248 | პოლონეთი-აშშ | 2,3 | 1,65 |

### I ადგილი ჯგუფში

| | |
|---|---|
| **12 ივნისი** | |
| **16.30 3002 B ჯგუფი** | |
| ესპანეთი | 1,03 |
| პარაგვაი | 1,0 |
| ს. აფრიკა | 7,5 |
| სლოვენია | 1,0 |
| **13 ივნისი** | |
| **11.30 3003 C ჯგუფი** | |
| ბრაზილია | 1,01 |
| თურქეთი | 1,0 |
| კოსტა რიკა | 9,0 |
| ჩინეთი | 1,0 |
| **14 ივნისი** | |
| **16.30 3004 D ჯგუფი** | |
| პორტუგალია | 2,4 |
| პოლონეთი | 1,0 |
| კორეა | 2,2 |
| აშშ | 1,8 |

| | |
|---|---|
| **12 ივნისი** | |
| **11.30 3006 F ჯგუფი** | |
| არგენტინა | 3,4 |
| ინგლისი | 1,3 |
| ნიგერია | 1,9 |
| შვედეთი | 3,6 |
| **13 ივნისი** | |
| **16.30 3007 G ჯგუფი** | |
| იტალია | 1,6 |
| ხორვატია | 3,5 |
| მექსიკა | 2,3 |
| ეკვადორი | 1,0 |
| **14 ივნისი** | |
| **11.30 3008 H ჯგუფი** | |
| რუსეთი | 4,0 |
| ბელგია | 5,0 |
| იაპონია | 1,2 |
| ტუნისი | 1,0 |

## კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | 'ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრინის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[a] კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| | მშვიდობის გამზირი №11 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

# დიდინზე დიდი ძია სემია

## ზაზა ფაჩულია: თურქი ქალების არჩევანი სიმპათიის დრაფტზე

საქართველოს ნაკრების 18 წლის ცენტრი ზაზა ფაჩულია გუშინ ამერიკაში გაემგზავრა. იქ ის ნბა-ს გუნდებში წინასადრაფტოდ ივარჯიშებს, ხოლო დადგება თუ არა დრაფტზე, მოგვიანებით გაირკვევა.

ეს ამბავი ცოტა უცნაურად ჩანს იმის გათვალისწინებით, თუ რა ჯიბრში უდგას ზაზას მისი ამჟამინდელი მფლობელი, სტამბოლის „ულქერი". ქართველს შეძენის მსურველები არასდროს აკლდა, მაგრამ თურქული კლუბი სათოფეზე არავის იკარებდა, გურჯი ჩვენია და ჩვენთანვე დარჩებაო. პროფესიული ლიგა კი სხვაა. ნბა-ს კლუბთათვის უარის მთქმელი მხოლოდ კალათბურთელია. აბა, რომელ კლუბს მოუვა აზრად, ოკეანგაღმელ ბობოლებს მოთამაშე არ დაანებოს. ჰოდა, ფაჩულიას, თუ შტატებში საქმე აეწყო, „ულქერმა" და მისმა აშარმა მწვრთნელმა მურათ დიდინმა რამდენიც უნდა იდიდგულონ, ზაზა თურქეთს სულ იოლად დატოვებს.

კალათბურთის სამშობლოში გამგზავრებამდე ფაჩულიამ ორი დღით თბილისში შემოიარა ნიკოლოზ დერიუგინის საბენეფისო მატჩში სათამაშოდ. ზაზამ დრო „სარბიელისთვისაც" გამონახა და რედაქციაში გვეწვია. იგი თურქულ-ამერიკულ ამბებზე დაწვრილებით გვესაუბრა.

**— „ულქერის" დატოვება კარგა ხანია, გსურს. მოდი, ის დრო გავიხსენოთ, სეზონის წინ თურქეთში წასვლაზე უარს რომ ამბობდი, საბოლოოდ კი სტამბოლს მაინც ჩახვედი...**

— საქმე ისაა, რომ ძველი კონტრაქტი „ულქერისთვის" უფრო სახარგებლო იყო. თურქულად შედგენილ ტექსტში კლუბის ინტერესები სჭარბობდა და მე თითქმის უუფლებო ვიყავი. მისთვის რომ არ გადაეხედათ, არ ჩავიდოდი. ჰოდა, ახალი კონტრაქტიც გაფორმდა, რის მერეც გავემგზავრე სტამბოლს.

**— რა შეიცვალა კონტრაქტში და რით აიხსნა ეს წლევანდელ სეზონზე?**

— შეიძლება ითქვას, ახალი კონტრაქტი დავდეთ. ჩემთვის მისაღებ პირობებსა და ანაზღაურებას რომ თავი დავანებოთ, „ულქერს" ჩემს მფლობელობაზე ჰქონდა პრეტენზია მას შემდეგაც კი, ხელშეკრულების ვადა რომ გავიდოდა. ახლა კი მათ კიდევ ერთი სეზონი ვეკუთვნი.

**— ამის მერე შენდამი დამოკიდებულებას, ალბათ, შეიცვლიდნენ. და საერთოდ, ეს სეზონი უწინდლისგან ბევრით განსხვავდებოდა?**

— ცხადია, ჩემი ასეთი წინააღმდეგობა თურქებს არ ეამათ, განსაკუთრებით კი მწვრთნელ მურათ დიდინს. მაგრამ რა შედარებაა, წლევანდელი სეზონი შარშანდლისგან ძალიან განსხვავდებოდა. ამჯერად მეტი და უკეთ ვითამაშე. შეიძლება ითქვას, რომ თამაში ერთიორად გავაუმჯობესე.

**— რომელ მატჩს გამოარჩევ?**

— სეზონის დასაწყისში „გალათასარაისთან" ვითამაშე კარგად, მაგრამ უფრო იმ სამ მატჩს გამოვყოფ, ერთ კვირაში მიყოლებით რომ ჩავატარე. პირველად „ტელეკომს" შევხვდით. როცა მოედანზე შევედი, 30 ქულას ვაგებდით. თამაში წამივიდა და დიდინმაც ბოლომდე დამტოვა. საბოლოოდ 19 ქულა ჩავაგდე, მატჩი პრაქტიკულად მე შემოვატრიალე და საბოლოოდ მოვიგეთ კიდეც. შემდეგ „ბეშიქთაშთანაც" კარგად ვითამაშე, ბოლოს კი, „თედ კოლეჯის" ძლევისას, 26 ქულა მოვაგროვე. ეს ერთკვირიანი მონაკვეთი იყო ჩემი პიკი თურქეთში.

**— თუ არ ვცდები, სწორედ ამ მატჩების შემდეგ შეხვდით თელ ავივის „მაკაბის" ევროლიგაში და დიდინმა ხუთეულში გათამაშა...**

— ასე იყო, ოღონდ არ დამაცალა და მოედნიდან მალევე გამიყვანა. ამის შემდეგ არც თურქეთის ჩემპიონატში მენდობოდა კარგა ხანს. არ ვიცი, რატომ, ვფიქრობ, როცა თამაში მიგდის, მწვრთნელმა ხელი უნდა შეგიწყოს, დიდინი კი პირიქითაა, მას ასეთი უაზრო პოლიტიკა აქვს.



თაობა მიდის, თაობა მოდის. ზაზა ფაჩულია ნიკოლოზ დერიუგინის ბენეფისზე

**— პლეი ოფში ხშირად გიწევდა თამაში...**

— ეს ამერიკელი ცენტრის, აიზეკ ოსტინის წასვლამ უფრო განაპირობა. სამი ცენტრის ამარა დავრჩით და მონაცვლეობით ყველას გვიწევდა თამაში, ფინალურ სერიაშიც ყველა მატჩში მივიღე მონაწილეობა, ოღონდ მცირე ხნით.

**— ჩემპიონობა ვერ შეინარჩუნეთ...**

— „ეფესმა" რეგულარულშიც გვაჯობა და პლეი ოფშიც. უპირატესობა მათ ჰქონდათ, მაგრამ იოლად არაფერი დაგვითმია. ბოლო მატჩი სტუმრად ბოლო წუთზე წავაგეთ. ისე, ძალიან მინდოდა, კვლავ ჩემპიონი გავმხდარიყავი, უფრო დიდი პერსპექტივა მექნებოდა.

**— „ულქერი" მაინც არსად გიშვებს და...**

— ეს ამერიკულ კლუბებზე არ ვრცელდება, კონტრაქტში წერია, რომ თუ ისინი ჩემს აყვანას მოინდომებენ, „ულქერი" წინ ვერ დაუდგება. ვნახოთ, ამერიკაში ორშაბათს მივფრინავ.

**— როგორ დაიწყო ყველაფერი, ამერიკელებმა სად გნახეს.**

— ყველაფერი ჩემი მენეჯერის, მარკ ფლეიშერის დამსახურებაა. მან მარტში დამირეკა და მითხრა, შენს სანახავად ნბა-ს დამკვირვებლები უნდა ჩამოვიდნენო. პირველად „სან ანტონიოს" წარმომადგენლები ეწვივნენ სტამბოლს. მათ ჩვენი საევროლიგო მატჩი ნახეს ესპანურ „ტაუსთან", რომელშიც მცირე დროით ვითამაშე. შემდეგ ვარჯიშებზე გვესწრებოდნენ, მაკვირდებოდნენ.

**— შენთან არ უსაუბრიათ?**

— არა, მხოლოდ მაკვირდებოდნენ და რაღაც-რაღაცებს ინიშნავდნენ. მერე „ფინიქსიდან" ჩამოვიდნენ, მაგრამ თურქებმა ისინი უკვე აღარ დაუშვეს ვარჯიშებზე. ჩემპიონატის მატჩებშიც მცირე ხნით მათამაშებდნენ, რითაც პრაქტიკულად ჩემს თავს უმალავდნენ ამერიკელებს. თურქები ასევე მოიქცნენ მაშინაც, როცა კიდევ რამდენიმე ნბა-ს კლუბიდან ჩამოვიდნენ ჩემს სანახავად.

**— ამერიკაში როგორღა გიშვებენ?**

— სეზონი დამთავრებულია და სადაც მინდა, იქ წავალ. ამერიკელებს უკვე გავუგზავნე ფლეიშერის მიერ მიწოდებული ანკეტა-დოკუმენტები, სადაც ჩემი ყველა მონაცემია აღნიშნული და ფაქტობრივად წინასადრაფტო ვარჯიშებში მონაწილეობის საბუთს წარმოადგენს.

**— თურქებმა, ცხადია, იციან ეს ამბავი...**

— იციან და ვერ მოუნელებიათ. იმის იმედი აქვთ, რომ ჩემით არავინ დაინტერესდება.

**— ვისთან ერთად ივარჯიშებ?**

— სადრაფტოდ ჩემნაირად გამზადებული ახალგაზრდები 12 ივნისიდან 19 ივნისამდე სხვადასხვა გუნდებთან ივარჯიშებენ. მე პირველად „ინდიანასთან" ვივარჯიშებ, შემდეგ „დენვერთან", „ჰიუსტონთან", „დალასთან", „საკრამენტოსთან" და ასე შემდეგ.

**— დრაფტი 26 ივნისს გაიმართება...**

— ცხრამეტისთვის გადავწყვეტ დავდგები თუ არა დრაფტზე. ახლა ვერაფერს ვიტყვი. თუ კარგი პირობებით არ მომიწია დრაფტში მონაწილეობა, უარს ვიტყვი, მე ხომ ჯერ ახალგაზრდა ვარ. 18 წელი ძალიან ადრეა ნბა-ში სათამაშოდ, არ ვიჩქარებ და ჩემს დროს დაველოდები.

**— და ისევ თურქეთში ითამაშებ?**

— აბა, რა ვქნა, კონტრაქტი კონტრაქტია. ისე, მართალი გითხრათ, სტამბოლი ძალიან მიყვარს. თბილისის მერე ეს ქალაქია, სადაც კარგად ვგრძნობ თავს. თუ იქიდან წამოვედი, როცა თავისუფალი დრო მექნება, აუცილებლად ჩავალ-ხოლმე. სტამბოლთან სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს.

**— ალბათ, „ულქერთანაც"...**

— რა თქმა უნდა, დიდინია ცოტა უცნაური, თორემ კალათბურთელები მეგობრულნი არიან. ყველაზე ახლოს ამერიკელ კვადრე ლოლისთან ვარ. მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩემზე 11 წლით უფროსია, ჩვენნაირი მეგობრობა ბარე ორს არა აქვს. თავისუფალ დროს თითქმის სულ ერთად ვატარებთ.

**— გოგოები?**

— სწორედ მაგათი ბრალია, ტელეფონი რომ გამოვიცვალე. დღე და ღამე არ იციან, გამუდმებით რეკავენ. თამაშებზე ხომ სულ მთლად თავს იგიჟებენ ქომაგობით.

**— ნომრის გამოცვლამ გაჭრა?**

— კი, მაგრამ თანდათან იგებენ ახალსაც და თუ ამერიკაში ხელი მომეცარა, ალბათ, კვლავ გამოცვლა მომიწევს.

**ირაკლი ბერტაია**

---

ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. ᲤᲘᲜᲐᲚᲘ ოთხ მოგებამდე

ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘ 3:0 ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ

# ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲔᲡᲚᲐ ᲓᲐᲠᲩᲐ

## ᲝᲜᲘᲚᲘ VS ᲑᲠᲐᲘᲐᲜᲢᲘ



შაქილ ონილი და კობი ბრაიანტი ნიუჯერსელებზე მეტად ერთმანეთს ეპაექრებიან

7 ივნისი

**ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘ 106:83 ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ**

**ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘ: ფიშერი (12), ბრაიანტი (24), ფოქსი (10), ჰორი (9), ონილი (40 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი); ჯორჯი (6), შოუ (5), მადსენი, უოლკერი, ჰანტერი**

**ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ: კიდი (17), კიტლზი (23), ვან ჰორნი (9), მარტინი (6), მაკალოფი (2); ჯეფერსონი (10), უილიამსი (4), ჯონსონი (4), კოლინზი (6), ჰარისი (2), სკალაბრინი, მარშალი**

9 ივნისი

**ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ 103:106 ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘ**

**ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ: კიდი (30 ქულა, 10 პასი), კიტლზი (7), ვან ჰორნი (14), მარტინი (26), მაკალოფი (10); ჯეფერსონი (8), უილიამსი (4), ჰარისი (2), კოლინზი (2), ჯონსონი**

**ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘ: ფიშერი (13), ბრაიანტი (36), ფოქსი (7), ჰორი (6), ონილი (35 ქულა, 11 მოხსნა); ჯორჯი (6), შოუ (3), ჰანტერი, უოლკერი, მედვედენკო**

ამ უქმეებზე ჩატარებულმა ორმა მატჩმა ბევრი გააცხადა. ორივე თამაშის მოგებით ჩემპიონმა „ლეიკერსმა" ფაქტობრივად გაინაღდა მორიგი ჩემპიონობა. გარდა იმისა, რომ „ნიუ ჯერსი" ვერაა „ლეიკერსისთვის" ზედიზედ ოთხი თამაშის მომგები, პრეტენდენტის წინააღმდეგია ისტორიაც — ნბა-ს ფინალებს არ ახსოვს შემთხვევა, 0:3 ჩამორჩენილ გუნდს ჩემპიონობა რგებოდეს.

ხოლო თუ „ლეიკერსი" ჩემპიონი გახდა, მისი ყოჩაღი მწვრთნელი ფილ ჯექსონი დასწევია კოლეგათა შორის რეკორდსმენ რედ აუერბახს და ეგაა. აუერბახმა 50-60-იან წლებში ცხრაჯერ აჩემპიონა „ბოსტონი". მეამდენივე ტიტულს დღე-დღეზე აიღებს „დიდი ფილიც".

7 ივნისს ლოს ანჯელესში გამართული სერიის მეორე თამაში მასპინძელთა ძალმომრეობითა და სტუმართა უმოწყალო ცლეტვით წარიმართა და 22-ქულიანი სხვაობით დასრულდა. აღმოსავლელთა ასეთმა უსუსურობამ „სიეტლის" მწვრთნელს ათქმევინა, „ნიუ ჯერსი" იმდენად უხეიროა, რომ ფინალს „ლეიკერსთან" კი არა, ნებისმიერ, თუნდაც უსუსტეს მეპლეიოფე დასავლელთან წააგებდაო.

ნიუჯერსელებმა კვლავ ვერაფერი მოხწიეს მასპინძელთა ზეკაც შაკილ ონილს, რომელმაც ყველაფერი შესანიშნავად აკეთა. შაქმა საჯარიმოებიც კი გადასარევად ესროლა (14 სროლიდან 12 გამოიყენა) და ქულა-მოხსნებთან ერთად პასებიც ისე მარჯვედ აგროვა, ცოტაც და სამმაგ დუბლს მისწვდებოდა.

ორი შინაური ხეობის შემდეგ ისტ რეზერფორდში ჩაფრენილ ჩემპიონებს შედარებით მეტი წინააღმდეგობა შეხვდათ. „ნიუ ჯერსიმ" ძალ-ღონე მოიკრიბა და ანგარიშის შესამცირებლად ჯანი, სული და გული გაიღო, თუმც მაინც მშრალზე დარჩა. ამჯერად ცოტა მეტი შრომის ფასად, მაგრამ გამარჯვება მაინც წყნაროკეანისპირელებს ერგოთ.

ეს თამაში გააზალისა კობი ბრაიანტის ჩაუქობებმა. კობი წინა ორ მატჩში შედარებით ინერტულად ირჯებოდა და რაკი მისი ზორბა თაგანუგდელი შაკილ ონილი „ლეიკერსის" საკეთილდღეოდ მეტი მონდომებით ილვწის და ქულა-მოხსნებსაც შეუდარებლად მეტი ოდენობით აგროვებს, დიდი შანსია, ფინალური სერიის უძვირფასესის წოდება ზედიზედ მესამედ აცალოს კობის. ბრაიანტი სულაც არაა მოკრძალებული კაცი და უარს არ იტყოდა ამ ტიტულზე. ამიტომ მესამე თამაშში თავი გამოიდო და პირველად ასცდა 30-ქულიან თამასას. მომდევნო შეხვედრაში, რომელსაც აუცილებლად მოვიგებთ და ჩემპიონები გავხდებით, გაცილებით მეტს მოვიხვეჭო, დაიქადნა კობიმ, რომელიც ფიქრობს, რომ ჯერაც აქვს თანაგუნდელთან დუელში გამარჯვების შანსი.

ჩვენ კი ვთქვათ, რომ კობიზე და შაკზე არანაკლებ კარგი მოთამაშეა და თუ მეტად არა, არანაკლებ იხარჯება ნიუჯერსელთა თეთრი ლიდერი ჯეისონ კიდი, მაგრამ იგი მთლიანობაში მაინც მშრალზე დარჩება მაშინ, როცა სადღეისოდ საშუალო ევროპული დონის მოთამაშე, „ლეიკერსის" სათადარიგო ბრაიან შოუ ზედიზედ მესამედ გახდება ჩემპიონი. ჯეისონ კიდს კიდევ აქვს შანსი, დაამტკიცოს, რომ მთლად წყალწაღებული გუნდის ლიდერი არაა და თუნდაც ერთი გამარჯვებით გაახაროს მისი მაღმერთებელი ნიუჯერსელი ქომაგები. ძალიან კი გაუჭირდება, ბაირონ სკოტის შეგირდები ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ სულიერად გატეხილები არიან.

**ირაკლი ფირაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როლან გაროსი 2002

### საფრანგეთის ღია პირველობა

პარიზი. თიხნარი. საპრიზო 12 234 850 ევრო

# შავი და და შავი და

## ალბერტ კოსტა: ჩრდილიდან პირდაპირ საქურთხევლისკენ

**წლევანდელ** როლან გაროსს ფინად ორი ფორსმაჟორული მოვლენა დაჰყვა — წვიმა და ფეხბურთი. პირველმა პარიზელ მაზვშთა დავთრები პირველივე დღიდან არია, მეორე კი სეფესათიხნარო ჩოგნაობას შუაწელში შეუვარდა და, მართალია, ერთგული ქომაგი არ წაურთმევია, მაგრამ საპირველგვერდო პატივი კი ნამდვილად აჰყარა.

მთავარსათაურებში ალზევების უფლება საფრანგეთის ღია პირველობიდან წამოსულმა გზავნილებმა მხოლოდ მაშინ თუ მოიპოვეს, როცა ტურნირს ერთბაშად გამოაკლდნენ მსოფლიოს უპირველესი მეჩოგნე კაცი ლეიტონ ჰიუიტი და კაცთა სარბიელის უმთავრესი ფავორიტი ანდრე აგასი.

ბოლოს კი იყო ფინალები, სადაც ამერიკელმა შავგოგო სერენა უილიამსმა ისტორიულ შეხლაში თავისი უფროსი დაიკო ვინუს უილიამსი დაჯაბნა 7:5, 6:3, ხოლო 26 წლის ესპანელმა ალბერტ კოსტამ თვისტომსა და ამხანაგს, ხუან კარლოს ფერეროს მოუგო 6:1, 6:0, 4:6, 6:3.

შავდათა შეხლის ისტორიულობის შესახებ ადრეც გიამბეთ. მოდ და ლილიან უოტსონების შემდეგ, რომლებმაც 1884 წლის უიმბლდონის ფინალში ითამაშეს, დები უილიამსები პირველები არიან მეჩოგნე დედმამიშვილთა შორის, რომელთაც დიდი სლემის რაგინდარა ტურნირის ფინალში გასვლა მოახერხეს. პირველად ეს მათ შარშან, ამერიკის ღია პირველობაზე გამოუვიდათ. მაშინ გამარჯვება ვინუსმა მოიპოვა.

მათი ამჟამინდელი სლემფინალი კი კიდევ ორი რამის გამოც უცნაურობს. პირველი ის, რომ არც ერთ დათაგანს აქამდე როლან გაროსის მეოთხედფინალს მიღმა არ გადაებიჯებინა, მეორე კი ის — და ეს ყველაზე მთავარია — შავდები ფინალში ერთმანეთს ქალთა კლასიფიკაციის ნომერ პირველ და ნომერ მეორე მეჩოგნეებადაც შეეყარნენ. ასეთი რამ ადრე არასოდეს მომხდარა! თუმცა ისტორიას არც ის ახსოვს, რომ დები თუ ძმები ამა თუ იმ რეიტინგსიის მეპირველენი ყოფილიყვნენ!!

და კიდევ — ალთეა გიბსონის შემდეგ სერენა პირველი შავკანიანი მეჩოგნე გახდა, ვინაც როლან გაროსის კორტები აიკლო. გიბსონმა ეს შორეულ 1956-ში გააკეთა.

მოკლედ — მატჩი მართლაც ისტორიული გახლდათ. ოღონდ ეგ იყო, საკუთრივ საჩოგბურთო ხელოვნების თვალსაზრისით დაიკოებს ჩოგნები მაინცდამაინც არ გამოუდიათ, ორი სეტი კაცურად იბურთავეს და უფრო ჯანიანმა უფრო მეტი ფულიც მიითვალა. ანუ, თუკი მამა რიჩის ვინუსისგან 293 309 დოლარი შეუვიდა, სერენამ ოჯახის ბიუჯეტი 586 618 დოლარით გაავსო.

„კაი ხანი გავიდა, რაც სლემტიტული არ მომეგო — იძახდა მერე კარიერის მე-15 ტიტულის მომხვეჭი სერენა, ვისი აქამომდელი სასლემო მონაგარიც ოდენ აშშ-ის 1999 წლის ჩემპიონობა იყო — პატარაობისას სულ უიმბლდონი და აშშ-ის ღია პირველობა მეოცნებებოდა, როლან გაროსის მოგება კი მაშინ მომინდა, როცა სპეციალისტებმა ჩემი სათიხნარე ნიჭი ეჭვქვეშ დააყენეს“.

„ახლა უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. მე ხომ ამდენი ვიბრძოლე, რათა ამ მიზნისთვის მიმეღწია. იმედია, ახლა მაინც მოეშვებიან იმაზე ლაპარაკს, თითქოს ჩვენ თიხაზე ჩოგნაობა არ შეგვიძლია“.

ეს დების მერვე დაპირისპირება იყო და უმცროს დას ვინუსი ჯერაც 5:3 უგებს. თუმცა წლეულს უპირატესობა სერენას მხარეზეა — დაიკოს დამარცხება მან მარტში, მაიამურ ნახევარფინალშიც შეძლო. აქვე ისიცაა სათქმელი, რომ მათ შორის სასლემო პაექრობებს აქამდე მუდამ ვინუსი იგებდა. სერენა მას 1998 წლის ავსტრალიის ღია პირველობაზეც უძლევია, 2000 წლის უიმბლდონზეც და შარშანდელ აშშ-ის ღია ჩემპიონატზეც, რის შესახებ აკი ზემოთაც გაუწყეთ.

„დღეს მან მართლაც უკეთესად ითამაშა — ხოტბას ასხამდა უმცროს დას ვინუსი — ჩვეულებრივ, სლემფინალებში მაგრად გამოვდივარ ხოლმე, მაგრამ რას იზამ, ყველაფერს ხომ ვერ მოიგებ. სერენასთან წაგება არასოდეს მწყენია, პირიქით, ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ყოჩაღი დაიკო მყავს. ჩემსას კი, პირობას გაძლევთ, გაისად ვეცდები, მით უფრო, რომ ნავსი გატეხილია და დებმა უკვე როლან გაროსის ფინალშიც ვითამაშეთ“.



ვინუს და სერენა უილიამსებს მზერა ძალიან გაუამყდათ

REUTERS პარის ზილფან

ნაფინალევს ვინუსი მართლაც დურად იქცეოდა და ნაწყენობა კი არა, ისე გახარებულიყო, ჯილდოს მისალებად კვარცხლბეკზე ასულ სერენას ფოტოაპარატითაც მიუხდა, რათა საოჯახო ალბომისთვის ისტორიული ფოტოები დაებევებინა...

თუკი სერენას საამროლანგაროსო ტიტულსა და სამიწლისწინანდელ ამერიკულ ნადავლს ვინუსის მიერ წინა ორი წლის განმავლობაში მოპოვებულ 4 სლემტიტულს მივათვლით (მან ორჯერ უიმბლდონზე, ხოლო ორჯერაც „ფლეშინგ მედოუზზე“ იმარჯვა), მაშინ ისე გამოვა, რომ უკანასკნელი 11 სლემტურნირიდან დებმა ჯამში 6 (!) ტურნირის მოგება მოახერხეს. ამასთან, ბოლო სამ სლემფინალში ისინი ბადის მოპირდაპირე მხარეს იდგნენ!

ფინალამდე ერთმანეთს ისინი არც წლევანდელ უიმბლდონზე შეხვდებიან, რაკიღა — როგორც რეიტინგსიის პირველოსნებს — ერთმანეთთან ბოლო მატჩამდე არშემხვედრი ადგილები მიეცემათ.

შავდათა ასეთი თავბრუდამხვევი წარმატების გატრიზავება ბოლო დღეებში მხოლოდ სერენასგან ნახევარფინალში ძლეულმა ჯენიფერ კაპრიატიმ სცადა. მან, არც მეტი, არც ნაკლები, შავდათა ბრძენ მამას, რიჩარდს შეუტია და აი, ეგეთი რამეები ილაპარაკა:

„აბა, დაუკვირდით: როცა ერთი და რაღაც ტურნირზე ჩადის, მეორე შინ რჩება. სხვისი არ ვიცი, მე კი ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ყველაფერ ამის უკან მამა რიჩარდის გეგმებია... არა, ეს დასაძრახი სულაც არ არის, როცა ერთი სული გაქვს, შენი გოგოები რეიტინგსიის პირველ საფეხურებზე იხილო, მაგრამ საკითხავია, შეძლებდნენ კი ისინი ამის გაკეთებას, მარტინა ჰინგისსა და ლინდსი დევენპორტს ტრავმები რომ არ აწუხებდეთ?!“.

ერთი სიტყვით — ჯენიმ ბოლმას პირი მოხსნა და გაუტია.

მამა რიჩიმ კი საპასუხოდ არ დააყოვნა. „კაპრიატიმ ვერ იქნა და წაგება ვერ ისწავლა. რამით თავი თუ არ იმართლა, არ შეუძლია. საამისოდ იგი უკვე ალარაფერს თაკილობს. არადა, წლეულს ერჩივნა, პარიზში მხოლოდ მაყურებლად ჩასულიყო. სხვა თუ არაფერი, სერენასა და ვინუსის ტრიბუნიდან შემხედვარე ცოტა საჩოგბურთო ანაბანაშიც გაერკვეოდა“.

სამართლიანობა იმის აღნიშვნას მოითხოვს, რომ კაპრიატისა და მამა რიჩის ამ სიტყვიერ პაექრობაში ფაქტები დასტურ უკანასკნელის მხარეზეა. ზემოთ მოხმობილ სტატისტიკურ მონაცემებს იმასაც თუ დავურთავთ, რომ ქალთა საჩოგნეთს დები წლეულს უკვე 4-4 ტიტულით ლიდერობენ, მაშინ ჯენის ეგებ სალაპარაკოც არაფერი ჰქონდეს. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ამ იანვრიდან სერენამ ის სადაც დაიჭირა, იქვე დაჩოგნა.

ხოლო თქვენ თუ ორ ისეთ დას მოიგონებთ, ვისაც მათზე აკვნიდან მზრუნველი მამისთვის ჩოგნის ქნევით 17 (!) მილიონი დოლარი მოეტანოთ, მაშინ სტატისტიკაც უკან წაგვიღია და ყველაფერიც!!

სხვაფრივ — ტურნირამდელი ცნობები იმის შესახებ, რომ ესპანელი მეთიხნარე კაცები ფორმაში არ არიან და რომ ანდრე აგასის მისი მერვე საკარიერო სლემტიტულის მოხვეჭაში ვერავინ შეუშლიდა, გადაჭარბებული გამოდგა. ტურნირის ოთხი ნახევარფინალისტიდან სამი — ხუან კარლოს ფერერო (11), ალბერტ კოსტა (20) და ალექს კორეჩა (18) სწორედ ესპანელები იყვნენ. ამათგან საუკეთესო კი ალ კოსტა გამოდგა, კაცი, ვინაც თავის მე-9 როლან გაროსზე თამაში მსოფლიოში 22-ე ჩოგნის მქნევლად დაიწყო და მე-8 ჩოგნის მქნევლად გაასრულა, ხოლო ჩემპიონთა რბოლაში მე-12 საფეხურზე იდგა და მეორემდე ამაღლდა.

ეს მისი 25-ე სლემტურნირი გახლდათ და აქამდე ერთ ფინალშიც ვერ ეთამაშა. შედარებისთვის შეგახსენებთ, რომ წლევანდელმა მეავსტრალიე ტომას იოჰანსონმა, სანამ თავის ერთადერთ სლემტიტულს მოიპოვებდა, დიდი სლემის 24 ტურნირზე ვერ ივარგა.

ამ ფინალამდე კი კოსტამ მართლაც სახელოვანი გზა განვლო. მერვედფინალში სამგზის მეროლანგაროსე გუსტავო კუერტენი დაამარცხა, მეოთხედფინალში არგენტინელ გილერმო კანასს მოერია, საფინალო საგზური კი შარშანდელ ფინალისტსა და უახლოეს ძმაკაც ალექს კორეჩას წაჰგვარა. 1985 წლის შემდეგ ეს პირველად მოხდა, რაც რომ ერთმა მეჩოგნემ წინა წლის ორივე ფინალისტის დამარცხება იკისრა. მაშინ ამის გაკეთება მატს ვილანდერმა მოახერხა...

ამის მიუხედავად გადამწყვეტ შეხლაში ფავორიტად ყველა მაინც 22 წლის ხუან კარლოს ფერეროს მიიჩნევდა, რომელმაც წინა ექვსი შეხვედრა საუცხოოდ ითამაშა და, სხვათა შორის, მეოთხედფინალიდან ანდრე აგასი (4), ხოლო ნახევარფინალიდან მარატ საფინი (2) აოტა.



როგორც ყველა, ალბერტ კოსტაც შვილებისთვის წვალობს

REUTERS პარის ზილფან

მაგრამ ფინალში ფერერომ იქით ფავორიტობის ტვირთს ვერ გაუძლო, აქეთ კიდევ 4 წლით უფროსი თვისტომის მიძალებას და თითქმის უბრძოლველად, 1:6, 0:6, 6:4, 3:6 დათმო.

რაგინდარა ტიტული კოსტას 1999 წლის ივლისის შემდეგ ანუ უკვე 65 ტურნირის „განმავლობაში“ აღარ მოეგო. მის მიერ მოგებული 12 ტიტულიდან კი ყველა სათიხნარე ტურნირებზე მოდის. ამ მაჩვენებლით დღემდე მეჩოგნავეთაგან მას მხოლოდ გუგა კუერტენი უსწრებს, ვისაც 13 სათიხნარე სარბიელზე გაჰმარჯვებია.

დიდი წარმატება კოსტამ თავის ციცქნა ტყუპ გოგონებს, ალმასა და კლაუდიას მიუძღვნა, რომლებიც ტრიბუნაზე დედა კრისტინას კალთაში ბუჟღაობდნენ. ეგენი რომ არა, ვინ იცის, შევძლებდი თუ არა ამის გაკეთებასო, ამბობდა კვარცხლბეკზე.

„ასეთი აუდიტორიის წინაშე საუბარი უფრო ძნელი ყოფილა, ვიდრე თამაში — დასძინდა მერე — ახლა ძალიან ბედნიერი ვარ და სიტყვები არ მყოფნის. ასეთ გამარჯვებაზე ადრე ოცნებაც ვერ გამებედა“.

არადა, იყო დრო, როცა მეფინალე და ჩემპიონ თვისტომთა — კარლოს მოიას, სერხი ბრუგერასა თუ ალექს კორეჩას ჩოგნაობის შემხედვარე დანანებით იოცებდა: „რა ხდება ჩემს თავს, რატომ ვერ ვახერხებ იმის გაკეთებას, რაც ამ ბიჭებს ასე იოლად და ლამაზად გამოსდით?“.

დღეს მას შეუძლია, თავი ამაყად შემართოს და მეგობრების ჩრდილიდან გამოსულმა თვალები ჯიქურ გაუსწოროს დიდების ბრწყინვალებას. მან მართლაც არაჩვეულებრივი ტურნირი ჩაითამაშა...

„ეს წარმატება ალბათ ყოველდღიურმა, დაუღალავმა შრომამ მომიტანა. სადღაც გულის მიმალულ კუნჭულში ვგრძნობდი, რომ მოგება შემეძლო, მაგრამ ის დიადი თავდაჯერება მაკლდა, რაც სლემის მომგებ მეჩოგნეებს ვერმომგებთაგან განასხვავებს. ამ ორი კვირის განმავლობაში მე ნიადაგ ვეუბნებოდი ჩემს თავს — დაივიწყე ცუდი ფიქრები და შეეცადე თითოეული ქულისთვის ისე იომო, თითქოს ეს უკანასკნელი ქულა იყოს. ყველაზე ძნელი იმის დაჯერებაა, რომ გამარჯვება ხელგეწიფება, და ახლა მე უკვე მჯერა, რომ შემიძლია ამის გაკეთება“.

კოსტა მეხუთე ესპანელი გახდა, ვინაც პარიზული გვირგვინი მოირგო. მსოფლიოს სეფესათიხნარე კორტები ესპანელ კაცთაგან მანამდე მანუელ სანტანას, ანდრეს ხიმენოს, სერხი ბრუგერასა და კარლოს მოიას დაერბიათ.

მომავალ კვირაში ალბერტი და კრისტინა ჯვარს იწერებიან და მეჯვარეობა სწორედ ალექს კორეჩამ უნდა გასწიოს. კოსტას მიერ პარიზში მონაგრული 750 ათასი დოლარით, ვინძლო, კაცური ქორწილიც გაჩაღდეს და მერე ზღაპრული საქორწინოც აიპლაჟოს.

ერთი ეგაა, ფერერო ამ ამბავს ვერ დაესწრება, რადგან თავადაც უღელში შესაბმელადაა გამზადებული. მხოლოდ საყვარელ ქალთან ნებივრობა თუ განუქარვებს კარიერის პირველი სლემტიტულის ვერმოპოვებით გამოწვეულ კაეშანს. ალბათ არც მისი ნაგვემი ფეხები იუკადრისებენ ალერსიან მოპყრობას, ის ფეხები, რომელთაც — მისი ნაფინალევი აღიარებით — მას კოსტასთან ტოლსწორად პაექრობის საშუალება არ მისცეს. ოღონდ ეგ იმას არ ნიშნავს, თითქოს ალბერტმა დაუმსახურებლად მოიგოო, ამატებდა მერე.

ჩვენ კი აი, რა დავამატოთ:

სიმბოლურია, რომ მეროლანგაროსე იუნიორთა შორის ფრანგთა პატარა უფლისწულმა, უფროსთა ტურნირის პირველ წრეში სწორედ კოსტასგან ძლეულმა და მისთვის ერთი სეტის მომგებმა რიშარ გასკემ იმარჯვა. ფინალში მან თვისტომ ლორან რეკუდერი 45 წუთში გაანადგურა 6:0, 6:1 გასკე უმრწემესი ბიჭი გახდა, ვისაც კი ოდესმე იქ ხეირი გამოსვლია.

**ლევან ძილაურაძე**

სტენლის თასი. ფინალი ოთხ მოგებამდე

## დეტროიტი 3:1 კაროლინა



იგორ ლარიონოვი: დალევ ცოტას, ითამაშებ ბევრს

# იგორ ლარიონოვს წითელი ღვინის ზღვა შეუსვია

10 ივნისი

**კაროლინა 0:3 დეტროიტი 0:0 0:1 0:2**

0:1 ჰალი (27), 0:2 ლარიონოვი (44), 0:3 შენაჰანი (55)

**კაროლინა:** ირბე; ჰილი — უესლი, ჰედიკანი — უორდი, მალიკი — ვალინი; კაპანენი — ფრენსისი — ონილი, ბატალია — ბრინდამორი — კოული, სვობოდა — ვასიჩეკი — ჟილინა, ვესტლუნდი — ადამსი — დენიელსი

**დეტროიტი:** ჰაშეკი; ლიდსტრომი — ოლაუსონი, ჩელიოსი — ფიშერი, დანდენო — დიუშენი, აიზერმანი — ფიოდოროვი — შენაჰანი, მოლტბი — დრეიპერი — მაკარტი, ჰალი — დაციუკი — დევეროუ, ჰოლმსტრომი — ლარიონოვი — რობიტაილი

როგორც არ უნდა დასრულდეს ფინალი, კაროლინა უდავოდ იმსახურებს ქებას. ეგებ უადგილოდ მოგეჩვენოთ ამის თქმა მაშინ, როცა გუნდმა დიდი ანგარიშით წააგო და თასის მოგების შანსი პრაქტიკულად დაკარგა, მაგრამ შევეცდებით, ავსხნათ ჩვენი მოსაზრება: მოგეხსენებათ, წინა მატჩში კაროლინა დამარცხდა, დამარცხდა დიდი ბრძოლის შემდეგ, მესამე ოვერტაიმში, მაგრამ „ქარიშხლებისთვის", ალბათ, ყველაზე საწყენი ის იყო, რომ მათ ძირითად დროში მოგების აშკარა შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან. 59-ე წუთამდე ანგარიში 2:1 იყო მათ სასარგებლოდ და რომ არა დეტროიტელი ბრეტ ჰალი (მან ოსტატურად შეუცვალა შაიბას მიმართულება), კაროლინა დაწინაურდებოდა კიდეც სერიაში.

ესოდენ საწყენი მარცხის შემდეგ უფრო მრისხანე და გამოცდილი გუნდებიც კი იბნევიან, ცდილობენ, კორექტივები შეიტანონ აწყობილ თამაშში, რაც ხშირად ვერ ამართლებს და პირიქით, ზიანი მოაქვს. თუმც კაროლინელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ არ უცდიათ ველოსიპედის გამოგონება, ყურადღება ისევ საიმედო დაცვაზე გაამახვილეს და მეტოქის შეცდომას დაელოდნენ. უნდა ითქვას, რომ ამჯერადაც თითქმის მიაღწიეს საწადელს. მართალია, ორი პერიოდის განმავლობაში დეტროიტი უფრო გააზრებულად და ლამაზად უტევდა, მაგრამ მასპინძლები თავგანწირვით იცავდნენ თავს, ის კი არა, სახიფათო მომენტები თანაბარი რაოდენობით იქმნებოდა. ასეთ სიტუაციაში ერთადერთი გოლი გადაწყვეტდა ყველაფერს. კაროლინელთა სამწუხაროდ, მათ შემადგენლობაში ბრეტ ჰალის დარი ოსტატი არ მოიძებნება.

27-ე წუთზე დეტროიტმა მწვავედ შეუტია და დევეროს პასის შემდეგ „ოქროს ბრეტი" ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა. ამ მომენტს ასპროცენტიანი არ ეთქმოდა, მაგრამ ვეტერანმა მახვილი კუთხიდან ისე ზუსტად დაარტყა, რომ ძელსასხლეტილი შაიბა არტურ ირბეს კარში შევარდა.

ცხადია, ამის შემდეგ კაროლინა გააქტიურდა. მასპინძლებმა იცოდნენ, რომ სწორედ მეორე მესამედშივე უნდა გამოესწორებინათ მდგომარეობა და საამისოდ ყველაფერი გააკეთეს. ყველაზე ხელსაყრელი მომენტი რონ ფრენსისს ჰქონდა, მაგრამ კაროლინას კაპიტანმა ახლო მანძილიდან ძელს გაარტყა.

მესამე პერიოდში კი დეტროიტელები უფრო ცოცხლად გამოიყურებოდნენ, ოსტატობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. იგორ ლარიონოვის გოლმა საბოლოოდ გატეხა მასპინძლები. ლიგის ყველაზე უხუცესმა მოთამაშემ კვლავ გაიტანა. ამაში ლომის წილი ირჟი ფიშერს უძევს, რომელმაც დიაგონალური პასით მოძებნა ვეტერანი.

მესამე გოლიც ეფექტური პასის შემდეგ გავიდა. შენაჰანს ბედი არ სწყალობდა ფინალში, მაგრამ მატჩის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ სერგეი ფიოდოროვმა ისეთი პასი გადააწოდა, აცილება უფრო ძნელი იქნებოდა.

მაშ, ასე, დეტროიტმა როლიში ორივე მატჩი მოიგო და თასამდე ერთი ნაბიჯილა დარჩა. ცხადია, „წითელფრთიანები" შეეცდებიან, მომდევნო მატჩშივე მოითავონ საქმე, მით უმეტეს, რომ ეს შეხვედრა 13 ივნისს დეტროიტში გაიმართება.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე დეტროიტელთაგან შენაჰანი მიიწვიეს. ცხადია, ფორვარდს მოგებაზე არანაკლებ უხაროდა ის, რომ გოლი გაიტანა, თუმც ამან სულაც არ შეუშალა ხელი, გააზრებულად განემარტა გუნდის წარმატების მიზეზი. „ჩვენ იმდენი ძლიერი მოთამაშე გვყავს, რომ ყველა მათგანის დევნაში მოწინააღმდეგეს ყურადღება ეფანტება და ბოლოს და ბოლოს რომელიმეს გააქვს გოლი" — თქვა მან.

კიდევ რამდენიმე დეტალი:

ბრეტ ჰალმა მე-100 გოლი გაიტანა პლეი ოფში, რაც მხოლოდ მეოთხედ ხდება თასის ისტორიაში. მასზე მეტი უეინ გრეცკის (122), მარკ მესიეს (109) და იარი კურის (106) გაუტანიათ.

აი, ლარიონოვი კი ყველაზე ხნიერი კაცი გახდა მათგან, ვისაც ფინალში გოლი გაუტანია. საინტერესოა, რომ 41 წლის რუსს, რომელიც, მისივე თქმით, თამაშის დღეს საერთოდ არ ჭამს (!) და ყოველ საღამოს 2-3 ჭიქა წითელ ღვინოს მიირთმევს, ახალი კონტრაქტი ჯერ კიდევ პლეი ოფამდე შესთავაზეს.

**სამველ ლარიბიანი**



# თასი წყალი არ არის: უფროსისა

საქართველოს თასი. ფინალი. 9 ივნისი. ეროვნული

**დათვები 15:9 ორბელი-ლელო**

**დათვები:** ე. ძაგნიძე, კ. ელოშვილი (პინჩუკოვი), აშვეთია, კაპანაძე, ხონელიძე, კიკნაძე, ხელაძე (კიკაჩეიშვილი); ნინიძე (ცხვედიანი), ცნობილაძე, დადუნაშვილი (ღლონტი, მოქია), ბერიძე, ჩირგაძე, ყურაშვილი (უჩავა), ი. სვანიძე, საყვარელიძე

3 ს: ე. ძაგნიძე (2), კიკნაძე; 2 ა: ე. ძაგნიძე, კიკნაძე

**ორბელი-ლელო:** ზაალიშვილი, შალიკაშვილი (ქობელაშვილი), გილაური, ფირფილაშვილი, ცხაკაია, ბარკალაია, კვირიკაშვილი; სანიკიძე (ზვანდერაშვილი), კობეშავიძე, კახოიძე, ლვაბერიძე, გორგოძე, რამაზაშვილი, სარდანაშვილი, ბელქანია

3 ს: კვირიკაშვილი

**მსაჯი:** ნოდარ რობიტაშვილი



„დათვები" საქართველოს თასს ძრავის უთმობენ

მატჩის შემდეგ „დათვების" მორაგბეებმა საქართველოს თასი შამპანურით აავსეს და გამარჯვებისა შესვეს. ალალიც იყო: ბათუმელებმა დამაჯერებლად მოიგეს ფინალი.

ალალი იყო „ორბელი-ლელოს" ბიჭების აცრემლებული თვალებიც. ისინი ლამის მამის ტოლა კაცებს შეებრძოლნენ ღირსეულად და რომ არა გამოუცდელობა, ვინ იცის, როგორ დასრულდებოდა ფინალი.

კვირას ეროვნულზე ფავორიტი შარშანდელი ფინალისტი და თასის მფლობელი „დათვები" იყო, მაგრამ არც გამოუცდელი, თუმც ჟინიანი ლელოელების ნაადრევად ჩამოწერა იქნებოდა გამართლებული. ბოლოს და ბოლოს, ამ ბიჭებმა შარშანდელი ჩემპიონი, თბილისის „ლოკომოტივი" დაითხოვეს მეოთხედფინალიდან.

ლელო ვერც ერთმა გაიტანა, სამაგიეროდ, „დათვებმა" არ გაიმეორეს რკინიგზელთა შეცდომები და სწორი ტაქტიკა აირჩიეს. ბათუმელები პრაგმატულად თამაშობდნენ და კარში დასარტყამს ურტყამდნენ. ჯარიმებთან ერთად უბერებელმა ემზარ ძაგნიძემ და დავით კიკნაძემ არეკნებიც გაიტანეს და მეტოქეს შანსი წაართვეს. მანამდე ლელოელ მერაბ კვირიკაშვილს და ოთარ ბარკალაიას შეეძლოთ, საჯარიმოებით ეხეირათ, მაგრამ წყვილი დარტყმა გააცუდეს.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ლელოელი გოჩა სარდანაშვილი დაასახელეს.

ბათუმელებისთვის ეს იყო ბოლო რეპეტიცია ევროტურნირის წინ. ზღვისპირელები 22 ივნისს ევროპის რეგიონთა თასის გათამაშებებში ჩაებმებიან. მათი მეტოქე დანიის რეგიონის ნაკრები იქნება.

# მთიულიშვილმა ჟაკ შირაკს ხელი ვერ ჩამოართვა



ჩემპიონი „ბიარიცი" ჟაკ შირაკმა დააჯილდოვა

საფრანგეთის ჩემპიონატი. ფინალი 8 ივნისი. პარიზი

**აჟანი 22:25 ბიარიცი**

**ბორჯღალოსანი** მევლუდ მთიულიშვილის „აჟანი" ახლოს იყო საფრანგეთის ჩემპიონობასთან, მაგრამ მეორე ოვერტაიმის ბოლო წამზე ბიარიცელმა ლორენ მაზასმა ზუსტი არეკნით თავისიანები აჩემპიონა.

ჩვენებური კი პირველი ქართველია, სარაგბო გრანდის, საფრანგეთის ვიცეჩემპიონი რომ გახდა.

ფინალურმა მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია. „სტად დე ფრანსზე" 77 ათასი ქომაგი მივიდა, მათ შორის იყო ქვეყნის პრეზიდენტი ჟაკ შირაკიც, რომელმაც საჩემპიონო ჯილდო „ბიარიცს" გადასცა.

მთელი სეზონი სტაბილურად მოთამაშე მევლუდ მთიულიშვილს ამ შეხვედრაში არ უთამაშია, რაკი „აჟანის" მწვრთნელმა საამმატჩო ტაქტიკური მოსაზრების გამო ქართველს უფრო მსუბუქი და მოძრავი არგენტინელი ჰასანი ამჯობინა.

მატჩის ბედი კი, ზემოთაც ვთქვით, 32 წლის ლორენ მაზასის მოულოდნელმა არეკნმა გადაწყვიტა. მოულოდნელმა იმიტომ, რომ ამ კაცს მთელს კარიერაში საჯარიმოც არ დაურტყამს და საერთოდ, უფრო მუშა მორაგბედ ითვლება, ვიდრე მეჭურედ.

მევლუდ მთიულიშვილისთვის კი ეს ბოლო აჟანური მატჩი იყო, რაკი მომავალი სეზონიდან სხვა კლუბში გადადის. ყველაზე რეალური ვარიანტი ასევე ელიტარული „ბეზიეა", რომელშიც ორი ბორჯღალოსანი — გოდერძი შველიძე და ტარიელ რატიანიძე თამაშობენ.

ეს თავად მევლუდმა გუშინ დაგვიდასტურა, როცა საფრანგეთში შევეხმიანეთ.

**ბაჩო სვანიძე**



# გრან პრი ანუ გრინ პრი

**ცხრათვიანი** უქმობის შემდეგ სარბენ ბილიკს დაუბრუნდა მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი, ამერიკელი სპრინტერი მორის გრინი. მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ბერძნულ სარბიელზე ძაბავს თავის უნიკალურ კუნთებს და გუშინწინ ათენის გრან პრიც მოიგო. გრინმა ასეული მეტრის ფინიშთან 9,97 წამში და მეათედი წამით ადრე მიირბინა, ვიდრე მისმა უახლოესმა მდევარმა, თანამემამულე ბერნარდ უილიამსმა. შარშანდელი ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გრინი პირველად დაენახვა მძლეოსნობის მოყვარულ და პროფესიონალ საზოგადოებას და უკმაყოფილო დარჩა.

„კარგა ხნის უმოქმედობის შემდეგ თავს მშვენივრად ვგრძნობ. ბოლო ვარჯიშებზე ასე სწრაფად არ მირბენია და ამიტომ შედეგით კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, რიგიანად დავიწყე და მალე გავზრდი სისწრაფეს" — თქვა მორისმა ნასპრინტევს.

სხვათა შორის, ათენური ბილიკი სწორედ ის სარბიელია, რადაც მორის გრინმა ამ სამი წლის წინ ყველასთვის მოუწვლომელი შედეგი აჩვენა, ასი მეტრი 9,79 წამში გაირბინა და მსოფლიოს რეკორდების წიგნში უნიკალური მიღწევა ჩაწერა. ახლა გრინი თავს დებს, 2004 წლის ოლიმპიადაზე, ამავე სარბიელზე, ჩემს რეკორდს ცოტას მაინც მოვაკლებო.

**ირაკლი ფირცხვილი**



მორის გრინი საკუთარ რეკორდს მისდევს

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე ველუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge